დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
(სსიპ ქალაქ ქუთაისის N37 საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ნატო ოგანეზოვი
წევრები:

ეთერი ბროლაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
ირმა შალიკიანი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
შორენა ტყემალაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლალი ლალიაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ელენე ხუციშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დავით ხუციშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მარიამ ჯვარიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლელა ფანოზიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ედუარდ ნაკაიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნათია კოხოძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქალაქ ქუთაისის N37 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	212706044

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი ქუთაისი
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი ქუთაისი, ხარებავას ქ. N5
საფოსტო ინდექსი	4600
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Kutaisi37@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	0431296116

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	პირველადი ავტორიზაცია MES 9 25 0000421127; 16.04.2025
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2025 წლის 14-15 მაისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	სასკოლო კურიკულუმი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი ქუთაისი, ხარებავას ქ. N5; შენობის რაოდენობა - 2
	სასკოლო კურიკულუმი - ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი ქუთაისი, ხარებავას ქ. N5; შენობის რაოდენობა - 2
	სასკოლო კურიკულუმი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი ქუთაისი, ხარებავას ქ. N5; შენობის რაოდენობა - 2

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

საავტორიზაციო ვიზიტის მიმდინარეობისას სკოლის ადმინისტრაცია და პედაგოგები აქტიურად თანამშრომლობდნენ ექსპერტებთან. სკოლაში მკვეთრად იგრძნობოდა საქმიანი გარემო, მოსაზრებების ურთიერთპატივისცემა, თანამშრომლობის მაღალი ხარისხი, ურთიერთშეჯერება. ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტებმა შეისწავლეს სკოლის მატერიალური რესურსი, გაეცნენ/განიხილეს სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განხორციელდა გასაუბრება სასკოლო საზოგადოებასთან. საგნობრივი ექსპერტები ონლაინ რეჟიმში გაესაუბრნენ მასწავლებლებს. ვიზიტის მიმდინარეობისას გამოკვეთილი მიგნებები, შეჯამების ეტაპზე, მიეწოდა სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს. ექსპერტების მიგნებები ეფუძნებოდა მოქმედ კანონმდებლობას და/ან სკოლის მიერ შედგენილ დოკუმენტაციას. უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტების უკუკავშირი სკოლის დირექციის მიერ გაზიარებულ იქნა, ვინაიდან მხარეთა არგუმენტირებული პოზიციები სკოლის მხარდაჭერისა და განვითარებისკენ იყო მიმართული.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სკოლაში განსაკუთრებული თანამშრომლობითი და ინკლუზიური გარემოა შექმნილი. 2024-2025 სასწავლო წელს სკოლაში შეიქმნა „ინკლუზიური განათლების კათედრა“, რომელიც აერთიანებს 6 სპეციალურ მასწავლებელსა და 5 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტს. კათედრა ხელმძღვანელობს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ინკლუზიური განათლების განხორციელების ერთწლიანი სამოქმედო გეგმით, რომელშიც გაწერილია სასწავლო წლის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობები და განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები. კათედრის წევრები სისტემატურად ატარებენ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს საგნობრივი კათედრის წარმომადგენლებთან და განიხილავენ ინკლუზიური განათლების ძირითად მიზნებს, მიდგომებსა და ამოცანებს. შენობის პირველ სართულზე განთავსებულია რესურს ოთახი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო, შესაბამისი და აუცილებელი ინვენტარით. სკოლის შესასვლელში მოწყობილია პანდუსი. სკოლას აქვს ასევე 4 ლიფტი. შენობის ოთხივე სართულზე განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილი, რაც საერთო ჯამში ქმნის ინკლუზიურ გარემოს.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ სკოლა უზრუნველყოფს მისიით გათვალისწინებული ტექნოლოგიური გარემოს შექმნას. კერძოდ, სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელშიც განთავსებულია 29 კომპიუტერი. სკოლას აქვს: 7 პროექტორი, 4 პრინტერი, 1 პროექტორის ეკრანი. 2024-2025 სასწავლო წლის მეორე სემესტრში გამოიყო დამატებითი სივრცე სადაც განთავსდა 15 ლეპტოპი, ეკრანი. კომპიუტერული ლაბორატორია უზრუნველყოფილია მუდმივი ინტერნეტით. სკოლა დაფარულია WiFi. სკოლას შემუშავებული აქვს ციფრული განვითარების გეგმა. სკოლას აქვს ციფრული ტრანსფორმაციული ხედვა, რაც მჭიდრო კავშირშია სასწავლო პროცესებთან. სკოლა აღჭურვილია ტექნოლოგიურად, სკოლაში არის კომპიუტერული ლაბორატორია. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. სკოლა თანამშრომლობს პროფესიულ კოლეჯ „იბერიასთან“ და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტნ, „რობოტიკისა და ტექნოლოგიური მეწარმეობის სკოლის“ ფარგლებში შექმნილია „რობოტიკის კლუბი“, რომელიც ხორციელდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური მეწარმეობისა და ინოვაციების განვითარების ცენტრი Fablab Iliauni • ფაბლაბ ილიაუნისთან თანამშრომლობითა და ამერიკის საელჩოს ალუმნი საგრანტო პროგრამის მხარდაჭერით, რომელიც მიზნად ისახავს უფროსკლასელებში საინჟინრო და ტექნოლოგიური დარგების პოპულარიზაციას. ასევე კლუბის მხარდამჭერია Goal oriented Academy რომლიც მოსწავლეებს უვითარებს პროგრამირებისა და ტექნიკურ უნარებს.

აღსანიშნავია, რომ სკოლაში დახვდა 2 დრონი,“მეტა ქვესთის“ 3 D სათვალე, ჭკვიანი ადამიანის თავი, ჭკვიანი დაფა და რობოტი მანქანა, რომელიც პირველკლასელებს სწავლის დაწყების პირველივე დღეს საკლასო ოთახებში მიუძღვის. ყველა მათგანი მოსწავლეების საკლასო თუ კლუბური მუშაობის პროცესშია შექმნილი და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2	☒ შეესაბამება

პერსონალის განვითარება	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
მოსწავლეთა რაოდენობა: 1200 (2 ცვლა)	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ექსპერტთა ჯგუფმა დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა შეაფასა როგორც სრულად შესაბამისი, ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები შეაფასა როგორც მეტწილად შესაბამისი.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების	სკოლამ უზრუნველყოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნასთან შესაბამისობის შესახებ უფლებამოსილ უწყებასთან მიმართვა და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება შესაბამის უწყებებთან, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად, 2026 წლის 24 მარტამდე.

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** **საბაზო საფეხური**	**სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი N 2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	სკოლამ უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა და შესაბამისი რესურსებით აღჭურვა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად, 2026 წლის 24 მარტამდე.
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** **საშუალო საფეხური**	**სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი N 2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა	სკოლამ უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა და შესაბამისი რესურსებით აღჭურვა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად, 2026 წლის 24 მარტამდე.

	ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი 3.1.1.1	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;	სკოლამ შესაბამისობაში მოიყვანოს სკოლის წესდება სკოლის სტრუქტურასთან და თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ ბრძანებასთან.
ინდიკატორი 3.1.2.1	პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;	სკოლამ დააკორექტიროს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი და განსაზღვროს პირი/პირები, ვინც განახორციელებს მასწავლებელთა პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეფასებას.
ინდიკატორი 3.4.1.6	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;	სკოლის მიერ შემუშავებული „პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები“ შესაბამისობაში მოიყვანოს მოქმედ კანონმდებლობასთან.
ინდიკატორი 3.5.1.3	სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;	სკოლამ უზრუნველყოს ბიბლიოთეკაში არსებული ყველა წიგნის დამუშავება კანონით დადგენილი წესით.
ინდიკატორი 3.6.3.5	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები	სკოლამ პერიოდულად განაახლოს ვებ. გვერდი და დროულად ასახოს სიახლეები და ცვლილებები.

	და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური	რჩევა
ინდიკატორი N2.1.2.1	საგნობრივი კურიკულუმი წარმოადგენს სტრუქტურირებულ დოკუმენტს და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს	სასურველია, **ესთეტიკური აღზრდის** კურიკულუმის ჩარჩო-დოკუმენტი კათედრის ორივე საგნისათვის იყოს ერთნაირი. სასურველია, **ესთეტიკური აღზრდის** კურიკულუმის ჩარჩოში ჩაემატოს „მაგალითები შედარებისთვის“ სვეტი, ვინაიდან კურიკულუმის დოკუმენტი მეტად იქნას გამდიდრებული მრავალფეროვანი მასალით და დიფერენცირებული მიდგომებისთვის გამოსადეგი საშუალებებით. სასურველია, მუსიკაში დაზუსტდეს ძირითადი კონტექსტ მაგალითი შემოქმედებითი პროდუქტის იდეასთან მიმართებით. სასურველია **ბუნებისმეტყველების მე-6 კლასის** კურუკულუმში წარმოდგენილი თემები შეუსაბამეთ დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების სტანდარტით განსაზღვრულ თემებს, ხოლო მე-4 კლასის კურიკულუმში ყველა თემაში დაამუშავეთ შემოქმედებითი დავალებები. დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის კურუკულუმებში მიუთითეთ საათობრივი დატვირთვა; **ფიზიკური აღზრდისა და სპორტის** პედაგოგს სამომავლოთ შეუძლა სკოლაში არსებული რესურსიდან გამომდინარე გაშალოს სხვადასხვა თემებიც რომელიც გამრავალფენოვნებს სასწავლო პროცესს.

		სასურველია **უცხოური ენების** კურიკულუმის ჩარჩოში შემავალი თითოეული სასწავლო თემის შემთხვევაში განისაზღვროს თუ რა ფორმით დამუშავდება (შემოქმედებითი დავალების იდეა ან სხვა).
ინდიკატორი 2.1.2.3	ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული ან შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით	სასურველია, ესთეტიკური აღზრდის კურიკულუმებში ძირითად რესურსად გამოყენებული იყოს გრიფირებული სახელმძღვანელოები, გვერდების მითითებით. სასურველია, **სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში** გადაიხედოს შემოქმედებითი პროდუქტის (კომპლექსური დავალების) რაოდენობა, რათა მოხდეს სასწავლო მასალის სრულფასოვნად ათვისება კონკრეტულ ვადაში.
ინდიკატორი 2.1.2.4	საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები	სასურველია **მათემატიკის** საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებული იყოს მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები და შეთავაზებულ იქნას მრავალფეროვანი აქტივობები დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომების გათვალისწინებით. სასურველია **საზოგადოებრივი მეცნიერებების** საგნობრივ კურიკულუმებში თითოეული საგნის მიამრთულებით საბოლოო პროდუქტის მოსწავლეებისთვის შეთავაზებისას გაითვალისწინონ დიფერენცირებული მიდგომა . მაგ: მოსწავლეებმა შექმნან საინფორმაციო პოსტერი ან ვიდეორგოლი , მიეცით არჩევანის საშუალება.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**სასურველია,ესთეტიკური აღზრდის** კურიკულუმებში შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკების შექმნა (განმსაზღვრელი, განმავითარებელი), რომელშიც გამოიკვეთება ცნება/ქვეცნებათა დამუშავება. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** მტკიცებულებად წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები არის ძალიან ზოგადი. აუცილებელია შეიქმნას ისეთი შეფასების რუბრიკები სადაც იქნება ჩამოყალიბებული კონკრეტული საკითხი და დავალების ინსტრუქციები , ზუსტად განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმები , ასევე ნაჩვენები იქნება თუ რას აფასებს მასწავლებელი იმ კონკრეტულ შემთხვევაში. **სასურველია,ფიზიკური აღზრდისა და სპორტის** შეფასების რუბრიკები შეიმუშაონ კურიკულუმით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო თემის შესაბამისად.
ინდიკატორი 2.2.2.2	დამხმარე სასწავლო რესურსი (არსებობის შემთხვევაში) არის ვალიდირებული სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად	სასურველია, **საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის** ერთობლივი შეთანხმებით რესურსების ბაზა დაალაგონ კლასების , თემების საგნების მიხედვით კურიკულუმთან კავშირში. გამოიყენეთ სამინისტროს მიერ რეკომენდირებული ვებ გვერდები. ასევე,

		დამატებით რესურსად გამოიყენონ გრიფირებულ სახელმძღვანელოებში მითითებული დამატებითი რესურსების ნუსხა.
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური	**ტექნოლოგიების კურიკულუმებში წარმოდგენილი** დოკუმენტებიდან და კურუკულუმებიდან ჩანს, რომ შეფასების სიტემა არის ზოგადი. მაგრამ ეს არ უშლის ხელს იმის აღქმას, რომ შეფასება ხდება სრულფასოვნად. რჩევა იქნება თუ კონკრეტულ ამოცანებზე იქნება მორგებული შეფასების რუბრიკები.
ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	სასურველია, დაწყებითი საფეხურის **უცხოური ენის,** რუსული ენის V, VI კლასების კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში, სამიზნე ცნებების სახელწოდებები დაზუსტდეს და გაიწეროს სტანდარტის შესაბამისად, ხოლო სამიზნე ცნება ჩაიშალოს ქვეცნებებად სასწავლო თემის შესაბამისად; დაწყებითი საფეხურის V, VI კლასების გერმანული ენისა და რუსული ენის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში, სადაც სასწავლო თემის შესაბამისად განსაზღვრულია შემოქმედებითი დავალება, აღნიშნული დავალების ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება (მათ შორის კულტურათა დიალოგი) ან მიეთითოს რა სახით/ფორმით დამუშავდება სამიზნე ცნება-კულტურათა დიალოგი.
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** **საბაზო საფეხური**	**რჩევა**
ინდიკატორი 2.1.2.1	საგნობრივი კურიკულუმი წარმოადგენს სტრუქტურირებულ დოკუმენტს და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს	სასურველია, **ესთეტიკური აღზრდის** კურიკულუმის ჩარჩო-დოკუმენტი კათედრის ორივე საგნისათვის იყოს ერთნაირი. სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოში ჩაემატოს „მაგალითები შედარებისთვის“ სვეტი, ვინაიდან კურიკულუმის დოკუმენტი მეტად იქნას გამდიდრებული მრავალფეროვანი მასალით და დიფერენცირებული მიდგომებისთვის გამოსადეგი საშუალებებით. რჩევა-სასურველია, **მუსიკაში** დაზუსტდეს ძირითადი კონტექსტ მაგალითი შემოქმედებითი პროდუქტის იდეასთან მიმართებით. კარგი იქნება თუ **საბუნებისმეტყველო კათედრის** წევრები მეტად ითანამშრომლებენ და შეიმუშავებენ ერთიან კურიკულუმის ფორმას; ფიზიკის მე-7კლასის კურიკულუმში ყველა საკითხთა კლასტერში დაამუშავებთ შემოქმედებით დავალებებს; ფიზიკის მე-9 კლასის კურიკულუმში თემები მიუთითეთ სტანდარტის შესაბამისად;

		ყველა კურიკულუმში არ არის მითითებული სასწავლო საგნის საათობრივი დატვირთვა და გთხოვთ გაითვალისწინოთ. **ფიზიკური აღზრდისა და სპორტის** პედაგოგს სამომავლოთ შეუძლა სკოლაში არსებული რესურსიდან გამომდინარე გაშალოს სხვადასხვა თემებიც რომელიც გამრავალფენოვნებს სასწავლო პროცესს. სასურველია **უცხოური ენის** კურიკულუმის ჩარჩოში შემავალი თითოეული სასწავლო თემის შემთხვევაში განისაზღვროს თუ რა ფორმით დამუშავდება (შემოქმედებითი დავალების იდეა ან სხვა).
ინდიკატორი 2.1.2.4	საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები	რჩევა-სასურველია, **ესთეტიკური აღზრდის** კურიკულუმში ცვლილებების შეტანის ასახვა რომელიმე დოკუმენტში. იქნება ეს თავად კურიკულუმი, თუ კათედრის ოქმი. სასურველია **მათემატიკის საგნობრივ** კურიკულუმში გათვალისწინებული იყოს მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები და შეთავაზებულ იქნას მრავალფეროვანი აქტივობები დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომების გათვალისწინებით.
ინდიკატორი 2.1.2.3	ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული ან შეთანხმებული **საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან,** კანონმდებლობით დადგენილი წესით	**სასურველია, ესთეტიკური აღზრდის კურიკულუმებში** ძირითად რესურსად გამოყენებული იყოს გრიფირებული სახელმძღვანელო და იქნას მითითებული გვერდები თემის, საკითხის, ცნება/ქვეცნების გათვალისწინებით. გადაიხედოს შემოქმედებითი პროდუქტის (კომპლექსური დავალების) რაოდენობა, რათა მოხდეს სასწავლო მასალის სრულფასოვნად ათვისება კონკრეტულ ვადაში.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**სასურველია, ესთეტიკური აღზრდის კურიკულუმებში** შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკების შექმნა (განმსაზღვრელი, განმავითარებელი), რომელშიც გამოიკვეთება ცნება/ქვეცნებათა დამუშავება **სასურველია მათემატიკის** შეფასების რუბრიკები სრულყოფილად ფარავდეს კურიკულუმით განსაზღვრულ თემის გარშემო საკითხებს და შედგენილი იყოს კონკრეტულ დავალებაზე. სასურველია სრულყოფილად შეიქმნას **სახელმწიფო ენის** შეფასების რუბრიკები, რომელებიც კონკრეტულ დავალებას მიემართება და კორელაციაშია გრძელვადიან მიზნებთან. **სასურველია,ფიზიკური აღზრდისა და სპორტის** შეფასების რუბრიკები შეიმუშაონ კურიკულუმით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო თემის შესაბამისად.

ინდიკატორი 2.2.2.1	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სასწავლო რესურსი	**მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში** სასურველია მეტი აქცენტი გაკეთდეს მასწავლებელთა მიერ შექმნილი ელექტრონული რესურსების გამოყენებაზე სასწავლო პროცესში
ინდიკატორი 2.2.2.2	დამხმარე სასწავლო რესურსი (არსებობის შემთხვევაში) არის ვალიდირებული სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად	**საზოგადოებრივი მეცნიერებების** კათედრის ერთობლივი შეთანხმებით რესურსების ბაზა დაალაგონ კლასების , თემების საგნების მიხედვით კურიკულუმთან კავშირში. გამოიყენეთ სამინისტროს მიერ რეკომენდირებული ვებ გვერდები. ასევე, დამატებით რესურსად გამოიყენონ გრიფირებულ სახელმძღვანელოებში მითითებული დამატებითი რესურსების ნუსხა.
ინდიკატორი 2.1.2.2.	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	**სასურველია,უცხოური ენის** საბაზო საფეხურის ინგლისური, რუსული და გერმანული ენების ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში, სადაც სასწავლო თემის შესაბამისად განსაზღვრულია შემოქმედებითი დავალება, აღნიშნული დავალების ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება (მათ შორის კულტურათა დიალოგი) ან მიეთითოს რა სახით/ფორმით დამუშავდება სამიზნე ცნება-კულტურათა დიალოგი სასწავლო თემის შესაბამისად საბაზო საფეხურის რუსული ენის VII კლასის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილში, სამიზნე ცნებების სახელწოდებები დაზუსტდეს და გაიწეროს სტანდარტის შესაბამისად, ხოლო სამიზნე ცნება ჩაიშალოს ქვეცნებებად სასწავლო თემის შესაბამისად.
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** **საშუალო საფეხური**	**რჩევა**
ინდიკატორი 2.1.2.1	საგნობრივი კურიკულუმი წარმოადგენს სტრუქტურირებულ დოკუმენტს და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს	სასურველია, **ესთეტიკური აღზრდის** კურიკულუმის ჩარჩო-დოკუმენტი კათედრის ორივე საგნისათვის იყოს ერთნაირი. სასურველია, შეფასების რუბრიკები და აქტივობები ჩანდეს კურიკულუმებში, ვინაიდან პროექტის მსვლელობის თითოეული ნაბიჯი დაგეგმილი იყოს.

		სასურველია მოსწავლეთა ჩართულობა **მათემატიკის** კურიკულუმით განსაზღვრული შუალედური მიზნების განხორციელებისათვის შემოქმედებითი პროდუქტის შექმნის მიზნით. **ფიზიკური აღზრდსია და სპორტის** პედაგოგს სამომავლოთ შეუძლა სკოლაში არსებული რესურსიდან გამომდინარე გაშალოს სხვადასხვა თემებიც რომელიც გამრავალფენოვნებს სასწავლო პროცესს. სასურველია **უცხოური ენის კურიკულუმის** ჩარჩოში შემავალი თითოეული სასწავლო თემის შემთხვევაში განისაზღვროს თუ რა ფორმით დამუშავდება (შემოქმედებითი დავალების იდეა ან სხვა)
ინდიკატორი 2.1.2.2.	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	სასურველია **მათემატიკის კურიკულუმებში** შუალედური მიზნებისთვის მისაღწევი მრავალფეროვანი აქტივობების განხორციელება. კარგი იქნება თუ **საბუმენისმეტყველო მეცნიერებების** კათედრის წევრები შეიმუშავებენ ერთიან კურიკულუმის ფორმას; ფიზიკის მე-10 კლასის კურიკულუმში თემები მიუთითეთ სტანდარტის შესაბამისად; საბუნებისმეტყველო მეცნიერების ყველა კურიკულუმში არ არის მითითებული სასწავლო საგნის საათობრივი დატვირთვა და გთხოვთ გაითვალისწინოთ. სასურველია, **უცხოური ენის** საშუალო საფეხურის ინგლისური ენის ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში, სადაც სასწავლო თემის შესაბამისად განსაზღვრულია კომპლექსური დავალება, აღნიშნული დავალების ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება (მათ შორის კულტურათა დიალოგი) ან მიეთითოს რა სახით/ფორმით დამუშავდება სამიზნე ცნება-კულტურათა დიალოგი სასწავლო თემის შესაბამისად.
ინდიკატორი 2.1.2.4	საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები	რჩევა--სასურველია, **ესთეტიკური აღზრდის** დიფერენცირებული მიდგომების ასახვა თემატურ გეგმებში. სასურველია **მათემატიკის საგნობრივ** კურიკულუმში გათვალისწინებული იყოს მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები და შეთავაზებულ იქნას მრავალფეროვანი აქტივობები დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომების გათვალისწინებით, ასევე საგანთა შორის ინტეგრირება. სასურველია **საზოგადოებრივი მეცნიერებების** საგნობრივ კურიკულუმებში თითოეული საგნის მიამრთულებით საბოლოო პროდუქტის მოსწავლეებისთვის შეთავაზებისას გაითვალისწინონ დიფერენცირებული

		მიდგომა . მაგ:მოსწავლეებმა შექმნან საინფორმაციო პოსტერი ან ვიდეორგოლი , მიეცით არჩევანის საშუალება.
ინდიკატორი 2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისად	სასურველია, **ესთეტიკური აღზრდის** კურიკულუმში ცვლილებების შეტანის ასახვა რომელიმე დოკუმენტში. იქნება ეს თავად კურიკულუმი, თუ კათედრის ოქმი.
ინდიკატორი 2.1.2.3	ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული ან შეთანხმებული **საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან,** კანონმდებლობით დადგენილი წესით	სასურველია, **ესთეტიკური აღზრდის** კურიკულუმებში არაფორმალური აქტივობები მიზნობრივად დაიგეგმოს, პროექტის საჭიროებიდან გამომდინარე.
ინდიკატორი 2.2.2.1	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სასწავლო რესურსი	სასურველია, **ესთეტიკური აღზრდის კურიკულუმებში** პროექტის განსახორციელებლად, მცირე კვლევების საწარმოებლად, საველე მუშაობის დანერგვა; ინტერვიუს პროცესის წარმართვის სწავლება; კვლევის მნიშვნელობის გააზრება და საბოლოო პროდუქტის წარმოჩენა პრეზენტაციის, მოხსენების თუ სტატიის სახით. სასურველია **მათემატიკის კურკულუმებში** მეტი აქცენტი გაკეთდეს მასწავლებელთა მიერ შექმნილი ელექტრონული რესურსების გამოყენებაზე სასწავლო პროცესში
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	სასურველია, **ესთეტიკური აღზრდის** შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკების შექმნა (განმავითარებელი), რომელშიც გამოიკვეთება ცნება/ქვეცნებათა დამუშავება. სასურველია **მათემატიკის კურკულუმებში** შეფასების რუბრიკები სრულყოფილად ფარავდეს კურიკულუმით განსაზღვრულ თემის გარშემო საკითხებს და შედგენილი იყოს კონკრეტულ დავალებაზე. სასურველია **სახელმწიფო ენაში** სრულყოფილად შეიქმნას შეფასების რუბრიკები, რომელებიც კონკრეტულ დავალებას მიემართება და კორელაციაშია გრძელვადიან მიზნებთან. **სასურველია, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის**შეფასების რუბრიკები შეიმუშაონ კურიკულუმით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო თემის შესაბამისად.
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ობიექტური	სასურველია, **ესთეტიკური აღრზდის** განსახორციელებელი პროექტებისათვის თემების არჩევა მოხდეს მოსწავლეთა მიერ.

ინდიკატორი 2.2.2.2	დამხმარე სასწავლო რესურსი (არსებობის შემთხვევაში) არის ვალიდირებული სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად	**სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების** კათედრის ერთობლივი შეთანხმებით რესურსების ბაზა დაალაგონ კლასების , თემების საგნების მიხედვით კურიკულუმთან კავშირში. გამოიყენეთ სამინისტროს მიერ რეკომენდირებული ვებ გვერდები. ასევე, დამატებით რესურსად გამოიყენონ გრიფირებულ სახელმძღვანელოებში მითითებული დამატებითი რესურსების ნუსხა.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმასთან ერთად წარმოდგენილი ჰქონდა შესაბამისობის გეგმა მეორე სტანდარტის 2.2.2.3 (საბაზო და საშუალო საფეხური) ინდიკატორთან მიმართებით და მესამე სტანდარტის 3.4.1.1 ინდიკატორთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შედგენილ დასკვნის პროექტზე სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და ასევე ხარვეზის აღმოფხვრის დამადასტურებელი მტკიცებულებები. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.2.3 შეფასდა როგორც შესაბამისი.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის მისია, ხედვა, რომელიც მთლიანად ეფუძნება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლა ემხრობა ღირებულებებზე დაფუძნებულ განათლებას, ხელს უწყობს ინკლუზიურ და დემოკრატიულ გარემოს, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობების რეალიზაციას. სკოლაში შექმნილია უსაფრთხო, წამახალისებელი, თანამშრომლობაზე დაფუძნებული გარემო, სადაც თითოეული მოსწავლე შეძლებს თავისი შესაძლებლობებით ცოდნის შეძენას, ნიჭისა და ინტერესების რეალიზებას, მაღალი საზროვნო უნარების განვითარებას, ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სკოლა განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც უსაფრთხო, მხარდამჭერი და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცე. სკოლაში შექმნილია გარემო სადაც თითოეულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა, დაიცვას და განავითაროს თავისი უნარები, ინტერესები და ფასეულობები.სკოლა უზრუნველყოფს განათლების ინოვაციური და ინკლუზიური მიდგომების დანერგვას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა აკადემიურ, ემოციურ და სოციალური უნარების განვითარებას, სადაც თითოეული მოსწავლე გრძნობს თავს უსაფრთხოდ, აქვს თვითგამოხატვის თავისუფლება და მათ აზრებს პატივის სცემენ. სასკოლო საზოგადოება ეუძნება სამართლიანობას, თანამშრომლობასა და კრიტიკულ აზროვნებას.

სკოლაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ინკლუზიურ გარემოს, რომ თითოეულმა მოსწავლეს იგრძნოს თავი საზოგადეობის სრულფასოვან წევრად და ჩამოუყალიბდეს კუთვნილების შეგრძნება. სკოლის კულტურა ემყარება თანასწორობას,

ურთიერთპატივისცემას და ინოვაციურ სწავლების მეთოდებს, რაც უზრუნველყოფს მათ წარმატებულ მომავალს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სკოლაში შექმნილია სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში არიან მასწავლებლები, მშობელი და მოსწავლე. ჯგუფის წევრები ჯგუფის წევრები მოქმედებდნენ სკოლის მიერ დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად, რომელშიც გაწერილია პრინციპები, მეთოდები და პროცედურები, რომლებზე დაყრდნობითაც ხდება სკოლის ფილოსოფიის, გრძელვადიანი - სტრატეგიული განვითარების და მოკლევადიანი - ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება და მათი შესრულების მონიტორინგის მექანიზმები. კითხვარების საშუალებით ჩაატარეს გამოკითხვა და მიღებული პასუხების შეგროვებისა და გაანალიზების შემდეგ შემუშავებული იქნა მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტი, რომელიც ისევ სასკოლო საზოგადოების ჩართულობით დაიხვეწა, მიიღო საბოლოო სახე, გადაეცა სამეურვეო საბჭოს და პედაგოგიურ საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შეტანილია სასკოლო სასწავლო გეგმასა და სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმებში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. მასწავლებლების, მშობლების და მოსწავლეების ჩართულობიდან გამომდინარე სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შემუშავების ყველა ეტაპზე ისინი აქტიურად იყვნენ ჩართული, აწოდებდნენ თავიანთ მოსაზრებებს, რომლებიც გათვალისწინებული იქნა სკოლის მისიის, ხედვისა, ღირებულებების შემუშავებაში და დამტკიცებულ დოკუმენტს მშობლები გაეცვნენ კლასის კრებებზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. „სკოლის ფილოსოფიის შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის“ დოკუმენტში განსაზღვრულია ინფორმაციის გაზიარების მექანიზმი (მუხლი 12), რომლის თანახმად სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების, ასევე სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების გაზიარებისთვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას: სკოლის პორტალი, ელ. ფოსტა, სოციალური ქსელი, საჯარო განხილვა, სტენდი/საინფორმაციო დაფა. ამის გათვალისწინებით სკოლის ფილოსოფია საჯაროდაა ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისათვის, მშობლები გაეცნენ მშობელთა კრებებზე, ასევე სხვადასხვა ონლაინ პლატფორმების გამოყენებით (მესენჯერი, zoom, teams) გამოკრულია სკოლის შემოსასვლელში თვალსაჩინო ადგილას, აქტირთულია სკოლის პორტალზე და გაზიარებულია QR კოდის გამოყენებით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. სკოლის სახელწოდებაა - სსიპ - ქალაქ ქუთაისის N37 საჯარო სკოლა , რომელიც შეესაბამება სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანების საფუძველზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამუშაო ჯგუფის შექმნის ოქმი
- ბრძანება სამუშო ჯგუფის შექმნაზე
- კითხვარი მასწავლებელი, მოსწავლე
- სკოლის პორტალი
- QR კოდი
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა იყენებს დირექტორის 29.09.23 წლის N2-374 ბრძანებით დამტკიცებულ სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიას, რომელიც ეფუძნება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების განსაზღვრას. აღნიშნული მეთოდოლოგია უზრუნველყოფს მონაწილეობითი გადაწყვეტილებების მიღებას, სადაც ჩართული არიან როგორც მასწავლებლები და ადმინისტრაცია, ასევე მშობლები და მოსწავლეები. მეთოდოლოგიის მუხლი 6.-ის თანახმად შეიქმნა სამუშაო ჯგუფი (ბრძანება N1/კ-35 29/09/2023), რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ მასწავლებელი, მშობელი, მოსწავლე ხოლო თავმჯდომარე იყო სკოლის დირექტორის მოადგილე, რომელიც პასუხისმგებელია სკოლის ფილოსოფიის შემუშავებაზე, უზრუნველყოფს სკოლის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან კომუნიკაციას, ახდენს ჯგუფის საქმიანობის მხარდაჭერას. სკოლის ფილოსოფიის შემუშავების მიზნით (მუხლი 8.) განხორციელდა სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა, შედეგების გათვალისწინებით ჯგუფმა შეიმუშავა მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტი, ასევე სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების პროექტი (მუხლი 9.) აღნიშნული პროექტები წარედგინა დირექტორს, რომელმაც წარადგინა პედაგოგიურ საბჭოზე შესათანხმებლად და სამეურვეო საბჭოზე დასამტკიცებლად.

გეგმების შემუშავების პროცესში სკოლა იყენებს მონაცემებზე დაფუძნებულ ანალიზს, თანამედროვე საგანმანათლებლო ტენდენციებსა და საზოგადოების მოთხოვნებს. მეთოდოლოგია მოიცავს საკითხების იდენტიფიცირებას, მიზნების ფორმულირებას, განხორციელების ეტაპების განსაზღვრას და მონიტორინგის მექანიზმებს, რაც ხელს უწყობს უწყვეტ განვითარებასა და საგანმანათლებლო ხარისხის გაუმჯობესებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სკოლის სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი და ციკლური დოკუმენტი, რომელიც ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს (ფილოსოფიას). მისი მიზანია სკოლის გრძელვადიანი განვითარების უზრუნველყოფა და უწყვეტი გაუმჯობესება.გეგმა მოიცავს მისიასთან თანმხვედრ მიზნებს, რომლებიც განსაზღვრავენ სკოლის განვითარების ძირითად მიმართულებებს. თითოეულ მიზანს შეესაბამება კონკრეტული ამოცანები, რომლებიც უზრუნველყოფენ მიზნების ეფექტიან მიღწევას. ციკლური ხასიათი საშუალებას იძლევა, რომ პერიოდული შეფასების შედეგად გეგმა დაიხვეწოს და გააქტიურდეს ცვლილებებისა და საჭიროებების შესაბამისად. სტრატეგიული გეგმა არის ციკლური პროცესი (მუხლი 9.) რომელიც მოიცავს სტრატეგიულ მიზნებს, ამოცანებს, შესრულების ვადებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი დოკუმენტი, რომელიც განისაზღვრება სკოლის სტრატეგიული გეგმისა და ყოველწლიური თვითშეფასების საფუძველზე. მის განსახორციელებლად, მიმდინარე სასწავლო წელს დაგეგმილი იყო სკოლის დოკუმენტაციის გადახედვა/შემუშავება და დახვეწა, რაც სასწავლო წლის მიმდინარეობისას ეტაპობრივად განხორციელდა. გარდა ამისა, სკოლაში მასწავლებლებთან და თანამშრომლებთან გაფორმდა შრომითი ხელშეკრულებები. სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით გამოიცა ბრძანებები. სასწავლო წლის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე დამტკიცდა სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებული სასკოლო სასწავლო გეგმა. მასწავლებლებმა შეიმუშავეს შესაბამისი სასწავლო პროგრამები, კურიკულუმები, სასწავლო წლის მანძილზე ჩასატარებელი სხვადასხვა სასწავლო პროექტები. კათედრების მიხედვით შემუშავდა შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების ანალიზისა და შეფასების ფორმები. მშობლებში, მოსწავლეებსა და მასწავლებლებში ჩატარდა გამოკითხვა, ტესტების სახით, წერილობით იქნა შეგროვილი მათი მოსაზრებები, მოხდა მათი დამუშავება, რაც გათვალისწინებული იქნება შემდგომ მუშაობაში. მთელი წლის მანძილზე ინტენსიურად

მიმდინარეობდა საგაკვეთილო პროცესის მონიტორინგი სკოლის დირექციის მიერ. სასწავლო წლის დაწყებამდე შემუშავდა და დამტკიცდა საგნობრივი კათედრების სამუშაო გეგმები. სასწავლო წლის დასაწყისში სსსმ მოსწავლეებისათვის შეიქმნა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, შეიქმნა ისგ ჯგუფები. თითოეულ კლასს განესაზღვრა დამრიგებელი. დამრიგებლებმა შეიმუშავეს სადამრიგებლო პროგრამები. დამრიგებლები ეფექტურად ახორციელებდნენ მათ მოვალეობებს, აქტიურად თანამშრომლობდნენ მშობლებთან, მათ სისტემატიურად აწვდიდნენ ინფორმაციას სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესის, მათი შვილების აკადემიური მოსწრებისა და სკოლის მიერ დაგეგმილ სხვადასხვა აქტივობებთან დაკავშირებით. დირექციასთან შეთანხმებით, ისინი ორგანიზებას უწევდნენ და აწყობდნენ მშობლებთან, როგორც პირისპირ ისე ონლაინ შეხვედრებს, აცნობდნენ მათ მიმდინარე სიახლეებს.
სკოლაში შექმნილია უსაფრთხო ფსიქო-სოციალური და ფიზიკური გარემო. მოსწავლეები მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა ოლიმპიადებში, პროექტებში, ღონისძიებებში, როგორც სკოლაში, ისე სკოლის გარეთ. მიმდინარეობს მასწავლებელთა საქმიანობის მონიტორინგი, მოწმდება გაკვეთილების ჩატარების ხარისხი, დირექტორის მოადგილისა და საგნობრივი კათედრის მასწავლებლების მიერ კეთდება შედეგების ანალიზი, მიმდინარეობს განმავითარებელი უკუკავშირს გაცემა და პერიოდულად ხდება მასწავლებელთა სიტყვიერი წახალისება. აღნიშნული აქტივობები ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

4. სამოქმედო გეგმაში მკაფიოდ განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფს მათ ეფექტურ განხორციელებას. თითოეული აქტივობისთვის დადგენილია კონკრეტული, გაზომვადი ინდიკატორები, რაც შესაძლებლობას იძლევა ობიექტურად შეფასდეს მათი შესრულების ხარისხი და პროგრესი.გეგმაში გაწერილია რეალისტური ვადები, რომლებიც შესაბამისობაშია როგორც სტრატეგიული მიზნების მიღწევის ლოგიკასთან, ისე პრაქტიკულ შესაძლებლობებთან. ასევე, განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები და სტრუქტურული ერთეულები, რაც უზრუნველყოფს პროცესის მართვადობას და ანგარიშვალდებულებას. სტრატეგიულ მიმართულებებშიც განსაზღვრულია ინოვაციების დანერგვა, პერსონალის გაძლიერება ტექნოლოგიური სიახლეების ინტეგრაციის მიმართულებით, რომელთა შესაბამისად ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილია შესაბამისი აქტივობები, მაგ: სასწავლო პროცესში თამაშის ელემენტების შეტანა, ანიმაციური რესურსების გამოყენება, ციფრული უსაფრთხოების ცოდნის ამაღლება ტრენინგებისა და გამოცდილების გაზიარების გზით, ტექნოლოგიური რესურსების გამოყენება (Canva, Powtoon, Minecraft), რობოტიკის კლუბის მხარდაჭერა/გაძლიერება, Innovative Tech Classroom- ის შექმნა.**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია
- სტრატეგიული განვითარების გეგმა

- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; ***(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)***
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; ***(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)***
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. ***(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.როგორც უკვე აღინიშნა, სკოლამ შეიმუშავა და სკოლის დირექტორის ბრძანებით დაამტკიცა სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების,აგრეთვე, სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომლის მე-12 თავი მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის და შეფასების მექანიზმებს. როგორც ირკვევა, შეფასების შედეგები სკოლის დირექციას მისცემს ინფორმაციას დაგეგმვის პროცესის ხარისხის, არსებული გამოწვევების და პრობლემების შესახებ. შეფასების შედეგებს სკოლა გამოიყენებს სკოლის შემდგომი განვითარებისათვის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. ვინაიდან, სკოლა ექვემდებარება პირველად ავტორიზაციას, ექსპერტები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას შეაფასონ ინდიკატორი 1.2.2.2. კერძოდ, ახორციელებს თუ არა დაწესებულება სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით. **ინდიკატორი არ ექვემდებარება შეფასებას.**

3. ვინაიდან, სკოლა ექვემდებარება პირველად ავტორიზაციას, ექსპერტები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას შეაფასონ ინდიკატორი 1.2.2.3. კერძოდ, საჯაროა თუ არა სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები. **ინდიკატორი არ ექვემდებარება შეფასებას.**

4. ექსპერტები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, შეაფასონ ინდიკატორი 1.2.2.4, ვინაიდან, სკოლა პირველად ავტორიზაციას ექვემდებარება და შესაბამისად, მას ვერ ექნება სტრატეგიული გეგმისა და გასული წლის სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები გამოყენებული სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. **ინდიკატორი არ ექვემდებარება შეფასებას.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა
3.1. პერსონალის მართვა
3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1.სსიპ ქალაქ ქუთაისის N37 საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის სტრუქტურა, რომელზეც ასახულია სკოლაში არსებული სტრუქტურული ერთეულები და სამუშაო პოზიციები. აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად, სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, მჩეველთა საბჭო და დირექცია, რომელიც თავის მხრივ შედგება დირექტორისაგან, დირექტორის მოადგილისა და ბუღალტრისაგან. რაც

შეეხება სკოლის ადმინისტრაციას, აღნიშნული მოიცავს მტუკის (მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი), საქმისმწარმოებლის, საინფორმაციო მენეჯერისა და ბიბლიოთეკარის პოზიციებს. გარდა ამისა, სკოლის შტატგარეშე თანამშრომლები არიან ექიმი, დარაჯი, სსსმ პირის ასისტენტები და დამლაგებლები. სკოლის სტრუქტურის შესაბამისად, სკოლაში ფუნქციონირებს რვა კათედრა, მათ შორის არის ინკლუზიური განათლების კათედრა, რომელიც შედგება სპეციალური მასწავლებლებისა და სსსმ მოსწავლეთა ასისტენტებისაგან.

სკოლაში დასაქმებული თანამშრომლების საშტატო ერთეულები განსაზღვრულია სკოლის საშტატო ნუსხით, რომლის შესაბამისადაც, სკოლაში დირექციისა და ადმინისტრაციის გარდა, დასაქმებულია 71 მასწავლებელი.

სკოლაში დასაქმებულ პირთა კონკრეტული ფუნქციები განსაზღვრულია თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებითა და „სკოლის თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“ ბრძანებით, რომელშიც გათვალისწინებულია სკოლაში არსებული ყველა პოზიციისათვის განსაზღვრული უფლება-მოვალეობები. ნათლად იკვეთება ასევე სუბორდინაცია, რამდენადაც სკოლას ყველა პოზიციაზე აქვს განსაზღვრული თუ ვის ექვემდებარება აღნიშნულ პოზიციაზე დასაქმებული პირი და მიმართ არის ანგარიშვალდებული ის.

სკოლა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობასა და მათ შორის კოორდინაციისთვის ხელმძღვანელობს ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,საჯარო სკოლის წესდების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N 448 ბრძანებისა და სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად. სკოლას შემუშავებული აქვს ასევე დოკუმენტი - „ძირითადი და დამხმარე მმართველობითი ერთეულები, პროცესები და მათი აღწერები“, რომელიც მათ შორის განსაზღვრავს სკოლაში მმართველ სტრუქტურულ ერთეულებსა და მათ ფუნქციებს.

ამასთან, სკოლამ წარმოადგინა სკოლის წედება, რომელიც მოიცავს ინფორმაციას სკოლის სტრუქტურასა და სტრუქტურულ ერთეულებთან დაკავშირებით. აღნიშნული დოკუმენტი ასევე ითვალისწინებს სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების განსაზღვრის საკითხს, თუმცა, ის არის შესაბამისობაში სკოლის მოქმედ სტრუქტურასთან, რამდენადაც სკოლაში არ ფუნქციონირებს საფინანსო კომიტეტი. გარდა ამისა, სკოლის წესდებაში არ არის გათვალისწინებული მრჩეველთა საბჭო.

რჩევა: სკოლამ შესაბამისობაში მოიყვანოს სკოლის წესდება სკოლის სტრუქტურასთან და თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ ბრძანებასთან.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2.სკოლას გამოცემული აქვს ბრძანება „სკოლის თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის იერარქიული სტრუქტურისა და თითოეული თანამშრომლის მიერ შესასრულებელი ფუნქციების მკაფიოობას, რამდენადაც აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია სკოლაში დასაქმებული ყველა პირის სამუშაო აღწერილობა.

გარდა ამისა, სკოლა აღნიშნული დოკუმენტით უთითებს ყველა იმ საკანონმდებლო აქტზე, რომლითაც რეგულირდება სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს, მოსწავლეთა თვითმართველობის, დისციპლინური კომიტეტის, მრჩეველთა საბჭოსა და საგნობრივი კათედრების კომპეტენციები და საქმიანობა.

სკოლაში დასაქმებულ ზოგიერთ პირს, გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისა, დაკისრებული აქვს გარკვეული პასუხისმგებლობები. მაგალითისათვის, ერთ-ერთი თანამშრომელი განსაზღვრულია მოსწავლეთა დასწრების აღრიცხვის ჟურნალის მონიტორინგზე პასუხისმგებელ პირად. ასევე, სკოლა პერსონალური მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელ პირებად განსაზღვრული ჰყავს დირექტორის მოადგილე, საქმისმწარმოებელი და საინფორმაციო მენეჯერი. აღნიშნული ფუნქციების დაკისრება განხორციელდა სკოლის დირექტორის ბრძანებით.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში თანამშრომელთა ფუნქციები გამიჯნულია და უფლებამოსილებები დელეგირებულია თანამშრომლებზე იმგვარად, რომ არ ხდება ფუნქციათა აღრევა, ან გადაკვეთა. რაც თავის მხრივ ხელს უწყობს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის საშტატო განრიგი;
- სკოლის სტრუქტურა;
- სკოლის წესდება;
- თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
- მოსწავლეთა დასწრების აღრიცხვის ჟურნალის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ ბრძანება;
- სკოლის თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ ბრძანება;
- ძირითადი და დამხმარე მმართველობითი ერთეულები, პროცესები და მათი აღწერები;
- პერსონალური მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ ბრძანება.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში დასაქმებული პერსონალის მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით, სკოლის შინაგანაწესითა და თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების შესაბამისად. სკოლას აქვს საკუთარი ორგანიზაციული მოწყობა და შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვისა პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და განსაზღვრავს ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკას. აღნიშნული დოკუმენტი ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს და წარმოადგენს იმ მიზანთა ერთობლიობას, რომელთა მიღწევაც სურს სკოლას საკადრო მიმართულებით და ამ მიზნების მისაღწევად შესასრულებელ კონკრეტულ ამოცანებს. კერძოდ, სკოლის მიზანია თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, სკოლა ცდილობს შექმნას ისეთი სამუშაო გარემო, სადაც თითოეულ თანამშრომელს მისცემს საკუთარი პოტენციალის და მისწრაფებების რეალიზების საშუალებას. გარდა ამისა, სკოლის მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი განსაზღვრავს ადამიანური რესურსების განვითარების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებებს, სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვის საკითხს, პროფესიულ განვითარებას, თასაქმებულთა მოტივაციის გაზრდას, თანამშრომელთა ადაპტაციის საკითხს და სხვა.

სკოლაში სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვის მიზნით, სკოლას აწარმოებს პერსონალის მიერ შესრლებული სამუშაოს შეფასებას სხვადასხვა საშუალებებით, რაც უზრუნველყოფს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას.

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტის შესაბამისად, მასწავლებელთა პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეფასებას ახორციელებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, თუმცა კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით, აღნიშნული ჯგუფი არ არის ფუნქციური. ამასთან, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებითა და სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ აღნიშნულ ფუნქციას ასრულებენ საგნობრივი კათედრები.

რჩევა: სკოლამ დააკორექტიროს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი და განსაზღვროს პირი/პირები, ვინც განახორციელებს მასწავლებელთა პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეფასებას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2.კადრების ნაკლებობისა თუ ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში, სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, სკოლა დროულად აცხადებს ვაკანსიებს და მოქმედებს როგორც კანონმდებლობით, ისე შიდა ბრძანებებით განსაზღვრული ვადების შესაბამისად. გარდა ამისა, სკოლის თანამშრომლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლის დირექტორის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობებს ასრულებს დირექტორის მოადგილე, ხოლო მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში, საათების გადანაწილება ხდება საგნობრივ კათედრაზე. ხოლო სკოლას რომელიმე მასწავლებლის ჩანაცვლება სჭირდება ხანგრძლივი პერიოდით

და საათობრივი დატვირთვის გათვალისწინებით შეუძლებელია საათები განაწილდეს კათედრის წევრებს შორის, ხდება დროებით თანამშრომლის მიღება.

გარდა ამისა, სკოლა მუდმივად ცდილობს პერსონალის საჭიროებების გათვალისწინებით უზრუნველყოს თანამშრომელთა განვითარებისათვის საჭირო ტრენინგების ჩატარება და სამუშაო შეხვედრების დაგეგმვა, ტრენინგებზე მიღებული ცოდნის პრაქტიკაში დანერგვისა და თანამშრომელთა შორის გამოცდილების გაზიარების ხელშეწყობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დასტურდება, რომ სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3.სკოლის მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად, სსიპ ქალაქ ქუთაისის N37 საჯარო სკოლაში მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის მიღება ხდება შიდა ან/და ღია კონკურსით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ N174/ნ ბრძანების შესაბამისად. სკოლის სამედიცინო პერსონალის შერჩევა კი ხორციელდება სკოლის მიერ შექმნილი კომისიის მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის მარტის N41/ნ-23/ნ ერთობლივი ბრძანების შესაბამისად. სკოლას განსაზღვრული აქვს ასევე, რომ ინკლუზიურ განათლებაში ჩართული პირების შერჩევა უნდა განხორციელდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმების“ დამტკიცების შესახებ N16/ნ ბრძანების შესაბამისად.

გარდა სკოლაში თანამშრომელთა მიღების წესისა, სკოლას შემუშავებული აქვს კონკრეტულ პოზიციაზე განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რაც სრულ შესაბამისობაშია ზოგიერთი პოზიციისათვის (მასწავლებელი, სპეციალური მასწავლებელი, ექიმი, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული პირები) კანონმდებლობით განსაზღვრულ მინიმალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.

სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის გაცნობით დასტურდება, რომ ვაკანსიის გამოცხადებისას სკოლა ხელმძღვანელობს აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით. თანამშრომელთა შერჩევის მიზნით, ქმნის საკონკურსო კომისიას კანონმდებლობის შესაბამისად, აცხადებს ვაკანსიას და კანდიდატთა არჩევს სკოლის მიერ განსაზღვრული ვადების, ეტაპებისა და შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად.

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად, თანამშრომლის (გარდა მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის, სამედიცინო პერსონალის და ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტების) მიღება ხდება სკოლის დირექტორის გადაწყვეტილებით კანდიდატთან გასაუბრების გზით. დირექტორის გადაწყვეტილებით შესაძლებელია თანამშრომელთა შერჩევა მოხდეს კონკურსის საფუძველზე. თანამშრომელთა დანიშვნის ბრძანებებიდან იკვეთება, რომ

ვაკანტურ პოზიციებზე თანამშრომელთა (გარდა ზემოთ აღნიშნული პოზიციებისა) შერჩევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სკოლის დირექტორი.

პერსონალის შერჩევასთან დაკავშირებით დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას გათვალისწინებული აქვს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი დასაქმების შეზღუდვის შემთხვევები და შრომითი ხელშეკრულების გაფორმებამდე კანდიდატებს ავალდებულებს სხვა დოკუმენტებთან ერთად წარმოადგინოს შესაბამისი ცნობები. გარდა დადგენილი მოთხოვნებისა, სკოლაში შემოწმდა თანამშრომელთა პირადი საქმეები და გამოიკვეთა, რომ რამდენიმე თანამშრომელს არ ჰქონდა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობა. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტები, კერძოდ, 2020 წლის 3 ივნისიდან დასაქმებულ პირთა ცნობები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ. შესაბამისად,

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4.სკოლაში დასაქმებული ყველა მასწავლებლის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით“ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. ასევე, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაშია სკოლის ექიმისა და სსსმ მოსწავლეთა ასისტენტების პოზიციაზე დასაქმებული პირების კვალიფიკაცია. გარდა ამისა, სკოლის მიერ განსაზღვრულ მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნებს აკმაყოფილებენ ასევე სკოლის დირექციისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლები და ტექნიკური პერსონალიც. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5.სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების სხდომის ოქმებიდან გამომდინარე, ნათლად იკვეთება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობა. მასწავლებელთა გუნდური მუშაობა ნათლად ჩანს საგნობრივი კათედრების სამუშაო პროცესში. ისინი ერთად განიხილავენ და გეგმავენ ურთიერთდასწრებას, მსჯელობენ სწავლების სტრატეგიებზე, ეხმარებიან ერთმანეთს სასწავლო რესურსების მოძიებაში და უზიარებენ ერთამენთს ინფორმაციას განათლების სფეროში დანერგილი ახალი მიდგომებისა და მეთოდების შესახებ. თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროცესებისა და ორგანიზაციული საკითხების განხილვის პროცესებში.

აღსანიშნავია ასევე, რომ სკოლას აქვს ერთგვარი ტრადიცია, რომლის შესაბამისადაც წინასწარ შედგენილი განრიგის მიხედვით, სკოლაში ტარდება საგნობრივი კათედრების კვირეულები. 2024-2025 სასწავლო წელს სკოლაში შეიქმნა ახალი კათედრა - „ინკლუზიური განათლების კათედრა“. აღნიშნული კათედრის მიერ ჩატარებული კვირეულის ფარგლებში, ისინი შეხვდნენ ყველა საგნობრივი კათედრის წარმომადგენლებს. შეხვედრა ატარებდა საინფორმაციო ხასიათს, სადაც განხილული იყო ინკლუზიური განათლების ძირითადი მიდგომები, ამოცანები, მიზნები.

გამომდინარე იქიდან, რომ სკოლას ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები, მასწავლებლები არიან ისგ ჯგუფის წევრები და შესაბამისად, ჩართულნი არიან მოსწავლეთათვის ინდ. გეგმების შემუშავებაში. ისინი ერთობლივად ადგენენ მოსწავლის საჭიროებაზე მორგებულ გეგმას, ირჩევენ აქტივობებს და რესურსებს.
გარდა ამისა, სკოლაში მოქმედებს მრჩეველთა საბჭო, რომელშიც გაერთიანებულია ყველა სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელი. გუნდური და მონაწილეობითი მუშაობა გამოიკვეთა ასევე სკოლაში ვიზიტის დროსაც. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6.სკოლის მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი დასაქმებულთა მოტივაციის ხარისხის ამაღლების მიზნით, ითვალისწინებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა თანამშრომელთა წახალისება, აღიარება და ორგანიზაციული კლიმატის კვლევა. გარდა აღნიშნული დოკუმენტისა, სკოლას შინაგანაწესით აქვს განსაზღვრული წახალისების მექანიზმები, როგორიცაა მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოვება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოვება, ფულადი პრემიის გაცემა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. შინაგანაწესი წახალისების ფორმებთან ერთად ადგენს მათი გამოყენების წესსაც. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს თანამშრომელთა მიერ სამუშაოს მაღალი ხარისხით შესრულების საკითხსა და მათ წარმატებულ მიღწევებს. წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მიზნით, სკოლა აქტიურად იყენებს სკოლის სოციალური ქსელის გვერდს, რომლის საშუალებითაც აზიარებს მოსწავლეთა და თანამშრომელთა წარმატების მაგალითებს. ამასთანავე, სკოლას აქვს მასწავლებელთა ეროვნულ და პროფესიული განათლების ეროვნულ ჯილდოზე წარდგენის გამოცდილება. სკოლას ჰყავს ასევე არაერთი წარმატებული მასწავლებელი, რომლებიც სკოლაში ატარებენ შეხვედრებს და საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას უზიარებენ კოლეგებს. დამატებით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სკოლაში აქტიურად მიმდინარეობს eTwinnig-ის პროექტებზე მუშაობა. სკოლის ორმა პროექტმა მიიღო ეროვნული და ევროპის ხარისხის ნიშანი. ასეთი წარმატებული საქმიანობის აღიარების მიზნით, სკოლა სოციალური ქსელის გვერდის საშუალებით აზიარებს ინფორმაციასა და საჯარო მილოცვებს. ასევე, აქტიური და წარმატებული მასწავლებლების დაჯილდოვება ხდება სიგელითა და დიპლომებით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- კონკურსის გამოცხადების ბრძანება;

- საკონკურსო კომისიის შემქნის ბრძანება;
- საკონკურსო კომისიის ოქმები;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები;
- კონკრეტულ პოზიციაზე განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- კათედრების ოქმები;
- სკოლის სოციალური ქსელის გვერდი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; ***(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)***
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ შემუშავებული შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა მოიცავს სასწავლო პროცესის მონიტორინგს, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია მასწავლებლების საჭიროებების დადგენა. ასევე, სკოლის სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებულია სკოლის პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზების საკითხი, რისთვისაც სკოლას დაგეგმილი აქვს რეგულარული ტრენინგები და სემინარები, გაკვეთილების ანალიზი და შეფასება კოლეგებთან ერთად, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება, პრაქტიკული სამუშაო შეხვედრები და ვორქშოფები.

გარდა ამისა, თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენის საკითხი სკოლას გათვალისწინებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით, რომლის შესაბამისადაც, ადამიანური რესურსების განვითარება და მართვა ხორციელდება მათ შორის თანამშრომელთა საჭიეროებების კვლევითა და მათზე მორგებული პროფესიული განვითარების კონცეფციის შემუშავებით: ტრენინგი, სწავლება, მონიტორინგი და ინდივიდუალური განვითარების გეგმა. სკოლა ანალიზის საფუძველზე გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს.

მასწავლებლის საქმიანობის შეფასებისა და მათი განვითარების მიზნით სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვის მექანიზმებს პედაგოგები განიხილავენ ასევე საგნობრივ კათედრებზე. წარმოდგენილი დოკუმენტებით იკვეთება, რომ კათედრებზე ხორციელდება ერთობლივი გაკვეთილების დაგეგმვა-განხორციელება, კათედრის წევრთა შორის იგეგმება ურთიერთდასწრება და ხდება უკუკავშირის მიცემა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2.სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, ასევე ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი ითვალისწინებს თანამშრომელთა შეფასებისა და პროფესიული განვითარების საკითხებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებითა და თანამშრომლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის საჭირო ღონისძიებების ორგანიზებას. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ წარმოუდგენია თანამშრომელთა საჭიროებების კვლევის დამადასტურებელი დოკუმენტები, სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით პერსონალის განვითარება ხდება საჭიროებიდან გამომდინარე, როგორც თავად მასწავლებელთა ინიციატივით, ისე მასწავლებლის სახლთან თანამშრომლობითა და შესაბამისი ტრენინგების გავლით. მაგალითისათვის, სკოლამ მიმდინარე სასწავლო წელს უზრუნველყო სკოლის ბუღალტრისა და დირექტორის გადამზადება, რისი საჭიროებაც დადგა სკოლის ხაზინის ელექტრონულ პროგრამაზე გადასვლის გამო.

გარდა ამისა, სკოლის მხრიდან საჭიროებების გამოვლენისა და რეაგირებისთვის მზაობა იკითხება იკითხება სკოლის სამოქმედო გეგმაში და დასტურდება ასევე სკოლის თანამშრომელთა სერტიფიკატებით/ცნობებით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3.სკოლის ადმინისტრაცია ცდილობს ხელი შეუწყოს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას. სკოლის მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს პროფესიული განვითარების მოთხოვნების

იდენტიფიცირებას სამუშაოს კატეგორიის, ცალკეული ფუნქციის, თანამდებობრივი მოთხოვნებისა და ინდივიდუალური საჭიროებების ანალიზის საფუძველზე. გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისას, სკოლა არჩევს და გეგმავს სხვადასხვა ღონისძიებებს. აღნიშნული მიმართულებით, აქტიურად მუშაობენ საგნობრივი კათედრები. სკოლის ადმინისტრაციის ორგანიზებით სკოლაში ტარდება შეხვედრები, რომელზეც პედაგოგები ერთად განიხილავენ კარიერული ზრდისთვის საჭირო აქტივობებს. გარდა ამისა, სკოლაში მოქმედებს კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი, რომლის საშუალებითაც მასწავლებლები ერთმანეთს აძლევენ განმავითარებელ უკუკავშირს, რასაც ითვალისწინებენ შემდგომ საქმიანობაში. მნიშვნელოვანია აღინიშნოს ასევე კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლების სასწავლო ვიზიტი ესპანეთში, სადაც ისინი დაესწრნენ კონფერენციას - "დიგიტალიზაცია სასწავლო პროცესში". მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას ისინი თავის მხრივ უზიარებენ კოლეგებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4.სსიპ ქალაქ ქუთაისის N37 საჯარო სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან ყველა საჭირო პირობაა შექმნილი, რათა მოხდეს სამუშაო გარემოსთან თანამშრომლების ინტეგრაცია. სკოლა ზრუნავს, რომ მათ მიერ შერჩეულმა პირმა შეძლოს საკუთარი ცოდნისა და უნარების სრულად გამოვლენა, წარმატებით გაიაროს ორგანიზაციასთან ადაპტაციის პროცესი და გახდეს სკოლის ღირებული წევრი.
გარდა ამისა, სკოლას მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი მოიცავს ისეთი საკითხებს, როგორიცაა თანამშომელთა ადაპტაციის ეტაპები, ადაპტაციის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებები და აქტივობები და თანამშრომელთა ვალდებულებები ახალი თანამშრომელის სკოლაში ადაპტაციის მიზნით.
დასაქმებულის ადაპტაციის პროცესს ხელს უწყობენ დირექტორის მოადგილე და საგნობრივი კათედრების თავმჯდომარეები. ისინი ახალ თანამშრომლებს წარუდგენენ სკოლის კოლექტივს, აცნობენ სკოლის ორგანიზაციულ კულტურას, მათ პირად უფლება-მოვალეობებსა და სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. ასევე ათვალიერებინებენ სკოლის შენობას და ამატებენ მათ ყველა საკომუნიკაციო ჯგუფში. ახალო თანამშრომლის სოციალიზაციის მიზნით, სკოლამ შესაძლებელია დაგეგმოს ექსკურსია ან გასვლითი კორპორატიული ღონისძიება.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. სკოლის მხრიდან წახალისებულია კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრთან, მასწავლებელთა სახლთან, საქართველოს განათლებისა და ბიზნესის აკადემიასთან და ქი ქონსალთინგთან. შესაბამისად, სკოლის ადმინისტრაცია თანამშრომლებს სისტემატურად აწვდის ინფორმაციას დაგეგმილ სავალდებულო თუ არასავალდებულო ტრენინგების შესახებ. მასწავლებლები აქტიურად ერთვებიან სამუშაო შეხვედრებში, ვორქშოფებში, კონფერენციებში. სკოლამ მიმდინარე სასწავლო წელს მხარი დაუჭირა კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლების მხრიდან ინოვაციური კლასის გახსნის იდეას. კლასი ოფიციალურად სასწავლო წლის ბოლოს საზეიმოდ გაიხსნება, თუმცა მნიშვნელოვანია აღინიშნოს კლასის გახსნამდე სკორის მხრიდან მხარდამჭერი ღონისძიებები. კერძოდ, მოხდა შესაბამისი ფართის გამოყოფა, ოთახი აღიჭურვა ტექნიკით, ლეპტოპებით, პროექტორით, ეკრანით. დაგეგმილია ასევე დამატებით საჭირო რესურსების შეძენა.
დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ წახალისების მექანიზმებს ვხვდებით სკოლის შინაგანაწესში, რომლის შესაბამისადაც, პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი

პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. პერსონალის მიმართ შეიძლება ერთდროულად გამოყენებული იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა. სკოლის თანამშრომლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ადმინისტრაცია მუდმივად ცდილობს თანამშრომელთა წახალისებას თუნდაც სიგელების საშუალებით და ზეპირსიტყვიერად, მადლობის გამოცხადებით. სკოლას აქვს ფულადი პრემიის გაცემის გამოცდილებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- ადამიანური რესურსების მართვისა პოლიტიკა;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- კათედრის ოქმები;
- სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა გეგმა;
- თანამშრომელთა სერტიფიკატები და ცნობები
- თანამშრომელთა წახალისების ბრძანებები

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში საგანმანათლებლო პროცესის მართვა და კონტროლი ხორციელდება ხარიხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროცესი ძირითადად ეფუძნება სასკოლო სასწავლო გეგმასა და სკოლის სამოქმედო გეგმას. აღნიშნული დოკუმენტები ერთმანეთთან თანხვედრაშია და გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და მიზნებიდან. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საგნობრივი კათედრების მიერ ხორციელდება სასწავლო პროგრამების განხორციელების შეფასება და შემდგომი გაუმჯობესება.

სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლის მიხედვითაც სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და მუდმივი გაუმჯობესების მიზნით, სკოლა მუდმივად ახორციელებს სასწავლო პროგრამების შეფასებას, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების ხელშეწყობასა და სკოლის მატერიალური რესურსების გაუმჯობესებას. გარდა ამისა, სკოლას ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტით განსაზღვრული აქვს თითოეული რგოლის ფუნქცია თუნდაც სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების, შეფასების, მონიტორინგისა და გადამუშავების მიმართულებით. მათ შორის, დამრიგებლები, კათედრები, დირექტორის მოადგილე ამზადებენ ანგარიშებს, რაც გამოიყენება გასული სასწავლო წლის შეფასებისათვის. შედეგების ანალიზის საფუძველზე მიღებულ ინფორმაციას სკოლა იყენებს სასწავლო პროცესის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი - „ძირითადი და დამხმარე მმართველობითი ერთეულები, პროცესები და მათი აღწერები“, რომლის შესაბამისადაც, სკოლა განსაზღვრავს მმართველობით ერთეულებს, რომლებიც კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებენ სკოლის მართვას და პასუხისმგებელი არიან სკოლაში ძირითადი და დამხმარე პროცესების ჯეროვან შესრულებაზე. აღნიშნული დოკუმენტი ადგენს ასევე ძირითადი და დამხმარე პროცესების ჩამონათვალს. სკოლის ძირითადი პროცესებია ეროვნული სასწავლო გეგმის შესრულება, უსაფრთხო, გამართული სასწავლო პროცესი, საქართველოს კანონმდებლობისა და
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგზარდობის მინისტის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების შესრულება და ფინანსური მართვა. რაც შეეხება სკოლის დამხმარე პროცესებს, ის მოიაზრებს უსაფრთხოების წესების დაცვასა და მონიტორინგს, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვასა და მონიტორინგს, სასწავლო რესურსების მიზნობრივ გამოყენებას, გეგმაზომიერად შევსებასა და განახლებას, დამატებითი დაფინანსების წყაროების მოპოვება-განკარგვას, სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარების საკითხს, კვების პუნქტის ფუნქციონირებასა და პროფესიული განათლების ხელშეწყობას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3.სსიპ ქალაქ ქუთაისის N37 საჯარო სკოლა ხელმძღვანელობს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, რომლის შესაბამისადაც, მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს უფლება აქვთ, თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად გაასაჩივრონ მასწავლებლის, სკოლისა და საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედებები, აგრეთვე მიიღონ მიყენებული ზიანის სრული ანაზღაურება. აღნიშნული უფლება გათვალისწინებულია სკოლის წესდებაშიც. გარდა ამისა, გადაწყვეტილებების გასაჩივრებისა და მათი განხილვის სისტემა, სკოლის მიერ განსაზღვრილია აღწერილი სამეურვეო საბჭოსა და დისციპლინური კომიტეტის დებულებებით. სკოლას შემუშავებული აქვს ასევე გასაჩივრების დეტალური პროცედურები, რომლითაც განსაზღვრულია საჩივრის განმხილველი ორგანო, საჩივრის სუბიექტი, საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესი და ვადები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4.სკოლა თანამშრომლების/მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების კანონიერი უფლებების დაცვას უზრუნველყოფს შინაგანაწესით, სადაც გაწერილია როგორც პერსონალის, ისე მოსწავლისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებები. გარდა ამისა, სკოლასა და მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს უფლება/მოვალეობების ჩამონათვალს. იგივე შეიძლება ითქვას სკოლის პერსონალსა და სკოლას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაზე, რომელიც თავის მხრივ შეიცავს დასაქმებული პირის უფლება/მოვალეობების საკითხს. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში მშობლებსა და მოსწავლეებს შინაგანაწესით გათვალისწინებულ წესებთან ერთად აცნობენ მათ უფლება-მოვალეობებსაც. სკოლის შინაგანაწესი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. ამასთანავე, სასკოლო საზოგადოების უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად, სკოლის ფოიეში გამოკრულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და სახალხო დამცველის აპარატის ცხელი ხაზის ნომრები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- თანამშრომელთა ხელშეკრულებები;
- მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- გასაჩივრების დეტალური პროცედურები;
- სკოლის სტრატეგიული გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- ძირითადი და დამხმარე მმართველობითი ერთეულები, პროცესები და მათი აღწერები;
- სკოლის წესდება

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი, რომელიც განსაზღვრავს დაინტერესებული მხარეების ინფორმირების მექანიზმებს. აღნიშნული წესი ადგენს სკოლის ვალდებულებას, საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახადოს საჯარო დოკუმენტები (განათავსოს საინფორმაციო დაფაზე, ატვირთოს სკოლის ვებ გვერდზე, სხვა). ასევე, მიაწოდოს საჯარო ინფორმაცია, კანონის სრული დაცვით, საზოგადოების დაინტერესებულ წევრს მისთვის ხელსაყრელი ფორმით (ელექტრონული ვერსია/ამობეჭდილი). სკოლა სისტემატურად ატარებს საინფორმაციო შეხვედრებს სასკოლო საზოგადოებასთან. მართვის პროცესებთან დაკავშირებით აქტუალური საკითხები განიხილება პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე, მშობელთა კრებებზე და ასევე სადამრიგებლო საათის ფარგლებში. სკოლას დამტკიცებული აქვს ასევე მშობლებთან ურთიერთობის დებულება, რომელიც ადგენს ასევე მშობლებთან კომუნიკაციის სტრატეგიებსა და საშუალებებს. აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად, მოსწავლის შესახებ მშობლებთან კომუნიკაცია და აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმირება ხდება მშობელთა კრებაზე (პერსონალური მონაცემების დაცვით, ზოგადი მიმოხილვა), ონლაინ

ფორმატში Teams ან Zoom პლატფორმის საშუალებით, ელექტრონული ჟურნალით, ელექტრონული ფოსტით, ტელეფონითა და სოციალური ქსელის დახურული ჯგუფების საშუალებით.

სკოლა მოსწავლეებთან და თანამშრომლებთან კომუნიკაციისათვის აქტიურად იყენებს კომუკაციის სხვადასხვა საშუალებებს: ელ-ფოსტა, e-Flow-ს ელექტრონული სისტემა, სოციალური მედიის არხები, საინფორმაციო დაფა. სკოლის თანამშრომლებთან ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა მშობლებთან კომუნიკაციისათვის აქტიურად იყენებს სოციალური ქსელების ჯგუფებს.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისათვის სკოლა აქტიურად იყენებს სკოლის სოციალური ქსელის გვერდს, სადაც განთავსებულია სკოლის შესახებ ყველა საჭირო და მნიშვნელოვანი ინფორმაცია. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია აღნიშნული საშუალებით გაეცნოს მისთვის საინტერესო ინფორმაციას და იმავდროულად უკუკავშირის მიღების შესაძლებლობასაც იძლევა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო და კათედრები. ყველა სტრუქტურული ერთეული დაკომპლექტებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით. ყველა სტრუქტურული რგოლის მუშაობის მთავარი მიზანია დემოკრატიული გარემოს შექმნა. სასკოლო საზოგადოების წევრების კოლეგიალური ორგანოების საშუალებით სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობა განაპირობებს სკოლის წარმატებას. შესაბამისად, სკოლა ხელს უწყობს კოლეგიალური ორგანოების აქტიურ ფუნქციონირებას. უნდა აღინიშნოს მშობელთა ჩართულობა სამეურვეო საბჭოსა და დისციპლინურ კომიტეტში. თითოეული საფეხურის ერთი მშობელი არის სამეურვეო საბჭოს წევრი, წარმოადგენენ მშობელთა ხმას სამეურვეო საბჭოში და მონაწილეობენ სკოლის ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების პროცესში. ისინი აქტიურად ერთვებიან ასევე სასკოლო-სასწავლო გეგმის განხილვისა და შეთანხმების პროცესში. გარდა ამისა, თანაბარი რაოდენობით მასწავლებელი, მოსწავლე და მშობელი (2 მასწავლებელი, 2 მშობელი და 2 მოსწავლე) არიან სკოლის დისციპლინური კომიტეტის წევრები. სკოლაში საკმაოდ აქტიურად ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმართველობა. აღნიშნული ორგანოების ფუნქციონირება კი თავისთავად გულისხმობს სასკოლო საზოგადოების წევრების თანაბარ ჩართულობას, რაც გამოიხატება შეხვედრებზე საკუთარი მოსაზრების დაფიქსირებითა და ინიციატივების გამოვლენით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი;

- მშობლებთან ურთიერთობის დებულება;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი (დისციპლინურ კომიტეტში მშობელი წევრების წარდგენასთან დაკავშირებით);
- მოსწავლეთა თვითმართველობის ოქმი;
- საინფორმაციო დაფები
- სკოლის სოციალური ქსელის გვერდი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1.სსიპ ქალაქ ქუთაისის N37 საჯარო სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტის შემუშავების მიზანია სკოლაში ბავშვთა უფლებების დაცვა და მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება; სკოლის ტერიტორიაზე, სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება; ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა და საგანგებო სიტუაციების პრევენცია, მისთვის მზადყოფნა.

სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფენ მანდატურები და სკოლის დარაჯები. (სკოლას ჰყავს 4 მანდატური და 2 დარაჯი). სკოლა აღჭურვილია 83 ვიდეო-სამეთვალყურეო კამერით, რომლითაც კონტროლდება როგორც შენობის შიდა, ისე გარე პერიმეტრი. სკოლას სართულების მიხედვით ჰყავს მორიგე მასწავლებლები, რომლებიც უზრუნველყოფენ დერეფნებში წესრიგის დაცვას და მოსწავლეთა უსაფრთხო გადაადგილებას.

სკოლაში დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების სისტემა, აქვს ცეცხლმაქრები და სხვა შესაბამისი საჭირო ინვენტარი. სკოლაში აქვს ასევე რადიო-კვანძი, რომლის საშუალებითაც, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მოხდეს სასკოლო საზოგადოებისათვის საგანგებო მდგომარეობის შეტყობინება. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ განხორციელდა სკოლის რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებშიც სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა მიმდინარე სასწავლო წელს, სასწავლო პროცესის პარალელურად და ამ ეტაპისთვის ჯერ კიდევ არ მომხდარა სკოლის შენობის ჩაბარება სკოლას არ აქვს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური. გარდა ამისად, სკოლას არ აქვს ასევე შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნასთან შესაბამისობის შესახებ დოკუმენტი და უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რადგან ორივე დოკუმენტის მოპოვება დაკავშირებულია სკოლის რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ მის ოფიციალურად ჩაბარებასთან.
სკოლას შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქვს, რომ უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნასთან შესაბამისობის შესახებ უფლებამოსილ უწყებასთან მიმართვა და შესაბამის უწყებასთან შეთანხმებული სკოლა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა მოპოვებული ექნება 2026 წლის 24 მარტამდე.
რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნასთან შესაბამისობის შესახებ უფლებამოსილ უწყებასთან მიმართვა და

საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება შესაბამის უწყებებთან, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად, 2026 წლის 24 მარტამდე.

ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სკოლას პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველსაყოფად, პირველ სართულზე მოწყობილი აქვს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური განათებით, ნიავდება ბუნებრივი ვენტილაციის გზით და აღჭურვილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარით: სამედიცინო ტახტი, საკაცე, მაცივარი და კარადები. ექიმის კაბინეტი უზრუნველყოფილია ასევე ყველა საჭირო მედიკამენტითა და პირველადი დახმარებისათვის საჭირო საშუალებებით. სამედიცინო კაბინეტში დაცულია პაციენტის გასინჯვის პრივატულობა, რამდენადაც სამედიცინო ტახტი სპეციალური შირმით არის გამოყოფილი ოთახის სხვა სივრცისაგან.

სკოლას ჰყავს ექიმი, რომლის კვალიფიციკაციაც სრულად შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს (ექიმი-პედიატრი). ექიმი აქტიურად არის ჩართული სასკოლო ცხოვრებაში. ის სასწავლო წლის დაწყებამდე ადმინისტრაციასთან ერთად მონაწილეობს სკოლის დღის რეჟიმის შედგენაში, ადგენს საჭირო მედიკამენტების სიასა და სავარაუდო რაოდენობას, რომლითაც სკოლა უზრუნველყოფს სამედიცინო კაბინეტს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ექიმი გაკვეთილების დაწყებამდე ყოველდღიურად ამოწმებს სკოლის სველ წერტილებს.

გარდა ამისა, ექიმი კანონით დადგენილი წესით ახდენს სკოლაში გაწეული სამედიცინო მომსახურებისა და შემთხვევების აღრიცხვას. თითოეულ მოსწავლეზე ივსება შესაბამისი ფორმა, რომელშიც აღწერილია თითოეული ვიზიტი, დაავადების სიმპტომები, მკურნალობის გზები და შემდგომი რეკომენდაციები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სკოლას საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად შექმნილი აქვს მრჩეველთა საბჭო, რომელიც იკრიბება სემესტრში ორჯერ და განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მასწავლებლების, მოსწავლეების, კანონიერი წარმომადგენლების მიერ იდენტიფიცირებული პრობლემებისა და მათ მიერ შეთავაზებული გადაწყვეტის გზებს. მიღებულ ინფორმაციებზე დაყრდნობით შეიმუშავებს რეკომენდაციებს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ და სხვა. სკოლა წესრიგის დაცვის მიზნით, პრევენციისათვის პერიოდულად ატარებს საგანმანათლებლო-საინფორმაციო შეხვედრებს მოსწავლეებისა და მშობლებისათვის. მოსწავლეებისათვის მოსწავლის უფლებებისა და წესების გაცნობა ხდება დამრიგებლების მიერ.

სკოლას ჰყავს 4 მანდატური, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას. გარდა ამისა, სკოლას შემუშავებული აქვს ასევე მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი, რომლის შესაბამისადაც, მასწავლებლები ყოველდღიურად აკონტროლებენ შენობის ყველა სართულს. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, სკოლას

გამოკრული აქვს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის „112“-ის ცხელი ხაზის ნომერი – 112 (შემდგომ – 112). ასევე გამოკრულია განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ნომერი და საქართველოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზის ნომერი.
გარდა ამისა, სკოლას ჰყავს დარაჯი, რომელიც აწარმოებს შესაბამის რეესტრს და აკონტროლებს სკოლაში უცხო პირთა შემოსვლასა და გადაადგილებას. მოსწავლეთა სკოლიდან გაშვება ხდება საშვის საფუძველზე.
ამასთანავე, სკოლას ბრძანებით ჰყავს განსაზღვრული უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი და უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, სკოლაში მოქმედი მრჩეველთა საბჭო, რომელიც აქტიურად მუშაობს და მოსწავლეებისთვის გეგმავს საგანმანათლებლო-საინფორმაციო აქტივობებს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ძალადობა, ბულინგი, კიბერბულინგი, ნაადრევი ქორწინება თუ ჯანსაღი წესი. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლას არ ჰყავს ფსიქოლოგი, სკოლა მაქსიმალურად არის ჩართული, რომ მოსწავლეებს თავად მიაწოდოს ყველა საჭირო ინფორმაცია. საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლის გადამისამართება ხდება ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრთან. მათი ცხელი ხაზის ნომერი სკოლას გამოკრული აქვს სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილას.
გარდა ამისა,სკოლას დამტკიცებული აქვს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) წესი და განსაზღვრული ჰყავს რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელსაც ევალება, გონივრული ეჭვის არსებობის შემთხვევაში, ძალადობის ფაქტის შესწავლა და საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში, კანონით განსაზღვრული ღონისძიებების გატარება. გარდა ამისა, დამრიგებლების მიერ ტარდება სადამრიგებლო საათი, რომლის ფარგლებშიც ასაკის შესაბამისად მუშაობენ ბულინგისა და მოსწავლეთა პიროვნული და სოციალური უნარების განვითარების მიმართულებით.
უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სკოლაში პოზიტიური სასწავლო გარემოა, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთათვის ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5.სკოლაში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. სუფთა და მოწესრიგებულია როგორც საკლასო ოთახები, ისე დერეფნები, სველი წერტილები და სკოლის ეზო. ყოველდღიურად სველი წესით ლაგდება საკლასო ოთახები და დერეფნები, პერიოდულად კი ტარდება სადეზინფექციო სამუშაოები. სკოლაში დასაქმებულია 5 დამლაგებელი, რომელთა მიერ სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების შესრულებასაც ზედამხედველობს და მონიტორინგს უწევს სკოლის ექიმი.
დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლაში ვიზიტის პერიოდში, სკოლის შენობაში და სველ წერტილებში დაცული იყო სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილი იყო პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებითა და საჭირო რესურსებით.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

6.სსიპ ქალაქ ქუთაისის N37 საჯარო სკოლა პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს კანონით დადგენილი წესითა და მოცულობით. საჭიროების შემთხვევაში, სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით თანხმობების მოპოვებას ან შიფრავს მონაცემებს. ვიდეო სამეთვალყურეო სისტემის მონიტორინგსა და ადმინისტრირებას ახდენენ სკოლის მანდატურები.

ამასთან, სკოლას ბრძანებით ჰყავს განსაზღვრული პერსონალური მონაცემების დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი, ხოლო პერსონალური მონაცემების ოფიცრად განსაზღვრულია საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენელი.

სკოლის თანამშრომელთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები ინახება საქმისმწარმოებელთან. სკოლის ყველა კომპიუტერი უზრუნველყოფილია ლიცენზირებული პროგრამებითა და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებული ინტერნეტით.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის უზრუნველსაყოფად, სკოლას 2021 წელს აქვს შემუშავებული და დამტკიცებული ,,პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები'', სადაც განსაზღვრულია მონაცემთა დამუშავების მიზნები და პრინციპები. თუმცა, 2024 წლის 01 მარტიდან ამოქმედდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" ახალი კანონი, რომლითაც განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები.

რჩევა: სკოლის მიერ შემუშავებული ,,პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები" შესაბამისობაში მოიყვანოს მოქმედ კანონმდებლობასთან.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

7. სკოლის მიერ შემუშავებული პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი არეგულირებს ინფორმაციის დაცულობასთან დაკავშირებულ საკითხებს. მოსწავლეთა და სკოლის თანამშრომელთა პერსონალური მონაცემების დამუშავება, დამუშავებული მონაცემების გამოყენების მიზნობრიობის გათვალისწინება და პერსონალური მონაცემების დაცვა ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლაში დამუშავებულ მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მხოლოდ იმ თანამშრომლებს და იმ მოცულობით, რომელთაც მონაცემები სჭირდებათ საკუთარი ფუნქცია-მოვალეობების შესასრულებლად. სკოლის დოკუმენტაცია, რომელიც შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, დაცულია და ინახება სკოლის კანცელარიაში. სკოლაში მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტაცია (მიმდინარე დოკუმენტები, აქტიური პირადი საქმეები) ინახება საქმისმწარმოებელთან. დოკუმენტებზე და/ან მათში დაცულ ინფორმაციაზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ საქმისმწარმოებლისგან აღნიშნული დოკუმენტაციის მიღების და შესაბამისი აღრიცხვის გზით. მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტაცია (პირადი საქმეები, კოლეგიური ორგანოების სხდომის ოქმები), რომელიც არ არის აქტიურ მოხმარებაში, არქივდება და ინახება სპეციალურად გამოყოფილ ოთახში. ოთახი იკეტება გასაღებით, რომელიც ინახება .პასუხისმგებელ პირთან. სკოლის მიერ გამოყენებულ ელექტრონულ სისტემებზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ ინდივიდუალური მომხმარებლის სახელისა და პაროლის საშუალებით, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის დაცულობას გარეშე პირების უკანონო წვდომისაგან. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

8. სკოლა პერიოდულად აფასებს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დანერგილი მექანიზმების ფუნქციონირების ეფექტიანობას. ამ მიმართულებით მუშაობას აქტიურად წარმართავს მრჩეველთა საბჭო, რომელიც გასცემს რეკომენდაციებს მოსალოდნელი საფრთხეების და რისკების პრევენციისათვის. სასწავლო წლის ბოლოს დირექტორი წარმოადგენს ანგარიშს სასკოლო პერიოდის განმავლობაში, რეკომენდაციების საფუძველზე განხორციელებული ღონისძიებების თაობაზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკა;
- უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ ბრძანება;
- რეფერირებაზე პასუსიხსმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ ბრძანება;
- უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ ბრძანება;
- რეფერირების წესი;
- ექიმის ხელშეკრულება;
- დამლაგებლის ხელშეკრულება;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ ბრძანება;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები;
- მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი;
- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ ქუთაისის N37 საჯარო სკოლის შენობა არის 4 სართულიანი. მისი სრული რეაბილიტაცია განხორციელდა 2023-2024 სასწავლო წელს. სკოლის ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი სრულად შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებსა და სტანდარტებს. საკლასო ოთახები აღჭურვილია მასწავლებლის მაგიდით, მოსწავლის ასაკზე მორგებული ინდივიდუალური მერხებით, სკამებით და სასკოლო დაფებით. ლაბორატორიული ოთახებში განთავსებულია მხოლოდ ინვენტარის ნაწილი. მისი მიწოდება სკოლისათვის ხდება ეტაპობრივად. სკოლაში ყოველწლიურად ტარდება გეგმიური ინვენტარიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლის მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის არსებობის შემთხვევაში, სკოლას გააჩნია საკმარისი რაოდენობით საჭირო სასკოლო ინვენტარი.

სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტების გაცნობით დასტურდება, რომ ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდი მოიცავს როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ისე მხატვრულ ლიტერატურას და დამხმარე სახელმძღვანელოებს. თუმცა, სკოლაში ვიზიტის პერიოდისათვის სკოლის ბიბლიოთეკაში განთავსებული იყო მხოლოდ გრიფირებული სახელმძღვანელოები. სკოლაში მიმდინარე

სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო, საჭირო გახდა წიგნადი ფონდის სკოლის შენობიდან გატანა და დასაწყობება, რომლიც დაბრუნებაც ჯერ არ მომხდარა სკოლაში.
სკოლას აქვს IT კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია სკოლის კონტიგენტისათვის საკმარისი რაოდენობის კომპიუტერებით. სკოლას ასევე აქვს საკმარისი რაოდენობის პროექტორები და პრინტერები. ინტერნეტი ხელმისაწვდომია სკოლის ყველა მოსწავლისა და თანამშრომლისათვის. სკოლას აქვს სხვადასხვა თვალსაჩინოებები და აუცილებელი მატერიალური საშუალებები, რომლებიც გამოიყენება სასწავლო პროცესში. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის.
აღსანიშნავია ასევე ისიც, რომ სკოლა სრულად ადაპტირებულია. სკოლას აქვს ლიფტი, პანდუსი და ადაპტირებული საპირფარეშოები. აქვს რამდენიმე შემოსასვლელი/გასასვლელი კარი. სკოლის პირველ სართულზე მოწყობილია სამედიცინო ოთახი, რესურსოთახი, მანდატურის ოთახი. სკოლას აქვს მეორე შენობა, რომელშიც განთავსებულია სპორტული დარბაზი, სკოლის ბიბლიოთეკა და სააქტო დარბაზი. სკოლის სპორტდარბაზი აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით.**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2.სკოლის ინფრასტრუქტურა, საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომლის მიზანია სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტურად წარმართვის უზრუნველყოფა. სკოლაში არსებული მატერიალური რესურსებით სარგებლობის ძირითადი პრინციპი სკოლაში არსებული რესურსების ხელმისაწვდომობაა მოსწავლეებისა და თანამშომლებისათვის.
სკოლაში არსებულ საერთო სარგებლობის სივრცეებია რესურსოთახი, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, სკოლის შიდა და გარე მოედნები.
სკოლას სსსმ მოსწავლეებისათვის მოწყობილი აქვს რესურს-ოთახი, რომელიც აღჭურვილია მოსწავლეების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დაკმაყოფილების აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით.
რაც შეეხება სპორტულ დარბაზს, ლაბორატორიებსა და სააქტო დარბაზს, ისინი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისათვის, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს მოსწავლეთა და მასწავლებელთა მხრიდან სხვადასხვა აქტივობების განხორციელებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება და მისი მუშაობის წესი. ბიბლიოთეკას აქვს როგორც სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, ისე საკითხავი, სასკოლო საგნობრივი ლიტერატურა და დამხმარე ლიტერატურა და მასალები. თუმცა, სკოლაში ვიზიტის პერიოდისათვის ბიბილიოთეკაში განთავსებული იყო მხოლოდ გრიფირებული სახელმძღვანელოები. წარმოდგენილი დოკუმენტებითა და ბიბლიოთაკართან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ ბიბლიოთეკაში ფუნქციონირებს ანბანური და თემატური კატალოგები, რაც ეხმარება მოსწავლეებსა და მასწავლებლებს სასურველი წიგნის მოძიებაში. წიგნადი ფონდი უმეტესწილად დამუშავებულია კანონმდებლობის შესაბამისად და წიგნები აღრიცხულია საინვენტარო წიგნში.
რჩევა: სკოლამ უზრუნველყოს ბიბლიოთეკაში არსებული ყველა წიგნის დამუშავება კანონით დადგენილი წესით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4.სკოლას შექმნილი აქვს ინკლუზიური განათლების განხორციელების ყველა აუცილებელი პირობა. სასკოლო გარემო ადაპტირებულია. სკოლის შესასვლელში არის პანდუსი და დამონტაჟებულია ლიფტი. შესაბამისად, ყველა საერთო სარგებლობის სივრცე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, IT კაბინეტი, ექიმის კაბინეტი, ბიბლიოთეკა, ბუფეტი, სპორტული დარბაზი) ხელმისაწვდომია სსსმ მოსწავლეებისათვის. სკოლას აყველა სართულზე ქვს ასევე ადაპტირებული საპირფარეშო. სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია რესურს ოთახი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარითა და რესურსით.

სკოლა ხელმძღვანელობს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ინკლუზიური განათლების განხორციელების ერთწლიანი სამოქმედო გეგმით, რომელშიც გაწერილია სასწავლო წლის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობები და პასუხისმგებელი პირები. სსსმ მოსწავლეთათვის შესაბამისი სერვისების მიწოდების მიზნით, სკოლას ჰყავს 6 სპეციალური მასწავლებელი და 5 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი.

სკოლას შემუშავებული აქვს ასევე ინკლუზიური განათლების კათედრის დებულება, რომელიც განსაზღვრავს სსსმ მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციებს და შექმნილია სსსმ მოსწავლეების ზოგადი განათლების უზრუნველსაყოფად. აღნიშნული დოკუმენტით განმარტებულია სსსმ მოსწავლის ცნება, ადგენს სსსმ მოსწავლის სკოლაში მიღების პროცედურას, ხელს უწყობს მოსწავლისთვის სასურველი და ადეკვატური გარემოს შექმნას და ინკლუზიური განათლების ეფექტურ მართვას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. შენობის ინფრასტრუქტურა საშუალებას იძლევა სკოლა სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბდეს. დერეფნები, სკოლის ეზო, ღია სპორტული მოედანი, დახურული სპორტ სარბაზი, IT კაბინეტი ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. მოსწავლეებს სხვადასხვა აქტივობების განსახორციელებლად აქვთ მოწესრიგებული სააქტო დარბაზი და კეთილმოწყობილი შიდა სივრცეები. საკლასო ოთახები აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რომელშიც გამოყოფილია სამკითხველო სივრცე და წიგნსაცავი. მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა გამართონ სხვადასხვა ღონისძიებები, როგორც სკოლის ღია სივრცეებში, ასევე სააქტო დარბაზში. სკოლაში ჩატარებული ღონისძიებების ამსახველი მასალების (ფოტოები, მოსწავლეთა ნამუშევრები) განთავსება სკოლის დერეფანში დროებით შეზღუდულია, შენობის ოფიციალურ ჩაბარებამდე, თუმცა შემდეგ მოსწავლეები შეძლებენ საკუთარი ნამუშევრები განათავსონ სკოლის დერეფნებსა და საკლასო ოთახებში, რაც თავის მხრივ მამოტივირებელ გარემოს შექმნის მოსწავლეთათვის და ამავდროულად ხელს შეუწყობს სკოლას სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებაში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია;
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- კომპიუტერული ლაბორატორიის გამოყენების გეგმა;
- ბიბლიოთეკის დებულება;
- ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო წიგნი;
- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა;
- ინკლუზიური განათლების კათედრის დებულება.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელშიც განთავსებულია 29 კომპიუტერი. გარდა ამისა, სკოლას აქვს 7 პროექტორი, 4 პრინტერი, 1 პროექტორის ეკრანი. მიმდინარე სასწავლო წლის მეორე სემესტრში სკოლამ გამოყო დამატებითი სივრცე, სადაც განთავსდა 15 ლეპტოპი, ეკრანი. კომპიუტერული ლაბორატორია უზრუნველყოფილია მუდმივი ინტერნეტით. სკოლა ელექტრონული საქმისწარმოებას ახორციელებს - email.mes.gov.ge, e-Flow.emis.ge. e-School.emis.ge ელექტრონულ სისტემაში. შესაბამისად, სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შესაძლებლობას იძლევა სრულფასოვნად წარიმართოს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესი სკოლაში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სკოლაში ფუნქციონირებს IT კაბინეტი, რომელიც უზრუნველყოფილია სკოლაში არსებული მოსწავლეთა რაოდენობისათვის საკმარისი კომპიუტერებითა და მუდმივი ინტერნეტით. მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ მიზნობრიობის გათვალისწინებით,შეუზღუდავად გამოიყენონ სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა. გარდა ამისა, სამასწავლებლოში განთავსებულია 4 კომპიუტერი და 1 პრინტერი. ინკლუზიური განათლების კათედრას აქვს ცალკე კომპიუტერი რესურსოთახში. სკოლის კომპიუტერები და ელექტრონული რესურსები ხელმისაწვდომია, როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე თანამშრომლებისთვის. მასწავლებლების სარგებლობაშია ასევე ლეპტოპები, პროექტორი და სხვა ტექნიკა, საგნობრივი პროგრამების მიზნების მიღწევს ხელშეწყობისათვის.
სკოლას შემუშავებული აქვს ციფრული განვითარების გეგმა და ტექნოლოგიების კაბინეტით სარგებლობის განრიგი. აღნიშნული განრიგის შემუშავებასა და ტექნიკის განრიგის შესაბამისად გამოყენების კონტროლში აქტიურად არიან ჩართული სკოლის საინფორმაციო მენეჯერი და კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლები. ისინი ვალდებული არიან იზრუნონ ტექნიკის გამართულობაზე, სკოლის მიერ შემუშავებული გეგმის შესაბამისად, მოსწავლეებს და მასწავლებლებს კომპიუტერულ ლაბორატორიაში არსებული სამუშაო სივრცით სარგებლობა შეუძლიათ ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, როცა კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილები არ მიმდინარეობს. კომპიუტერულ ლაბორატორიაში მოსწავლეებისათვის განკუთვნილ სივრცეში ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირი არის კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინვენტარიზაციის მასალები;
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- ციფრული განვითარების გეგმა;
- კომპიუტერული ლაბორატორიის გამოყენების გეგმა;

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; ***(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)***
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. ***(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც არეგულირებს საქმისწარმოების ერთიან წესებსა და პროცედურებს. საქმისწარმოების სისტემის ორგანიზებასა და დოკუმენტების დამუშავებას ახორციელებს საქმისმწარმოებელი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მისი ფუნქცია-მოვალეობები დეტალურად არის განსაზღვრული შრომითი ხელშეკრულებით. საქმისმწარმოებელი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას და სხვა. სკოლაში შემოსული და გასული დოკუმენტაციის რეგისტრაცია ხორციელდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის e-flow მეშვეობით. შესაბამისად, სარეგისტრაციო ნომრისა და თარიღის მინიჭება ხორციელდება ელექტრონულად.

სკოლა შიდა დოკუმენტაციის აღრიცხვის მიზნით აწარმოებს სარეგისტრაციო ჟურნალებს. საკადრო ბრძანებების ჟურნალში ტარდება დასაქმებულებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, ხოლო საერთო ბრძანებებში აღირიცხება მოსწავლეთა მოძრაობა (ჩარიცხვა-ამორიცხვა, მობილობა, სტატუსის შეჩერება და სხვა). სკოლას აქვს ასევე შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი, რომელიც აკინძულია, ზონარგაყრილია, დანომრილია და დამოწმებულია სკოლის ბეჭდითა და დირექტორის ხელმოწერით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (Eflow). ასევე, სკოლის მოსწავლეთა და თანამშრომელთა ინფორმაციის დეტალურად ასახვა ხდება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool). აღნიშნულ სისტემაში ხორციელდება ასევე მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვის შესახებ ინფორმაციის ასახვა. სკოლას აქვს ელექტრონული ჟურნალი, რომლის საშუალებითაც ხდება მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვა, შეფასება, მშობლებთან კომუნიკაცია. ელექტრონულ ჟურნალში შესაძლებელია ასევე სკოლის ღონისძიებების, გაკვეთილების ცხრილის, გამოცდებისა და მოსწავლისთვის განკუთვნილი საშინაო დავალებების შესახებ

ინფორმაციის შემოწმება.
გარდა ამისა, სასკოლო საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის მიღება-გავრცელებისათვის სკოლა აქტიურად იყენებს ელექტრონული ფოსტას - kutaisi37@mes.gov.ge და სკოლის სოციალური ქსელის გვერდს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. ვიზიტის დროს შემოწმდა სკოლის eSchool-ის ელექტრონული ბაზა, რომელშიც ყველა სავალდებულო ველი შევსებულია სრულყოფილად. აღნიშნულ სისტემის საშუალებით ხდება ასევე მოსწავლის მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის, კლასის ცვლილების განხორციელება, ფიქსირდება სამეურვეო საბჭოს არჩევნების შედეგები, სახელმძღვანელოების არჩევა-აღრიცხვა, საგაკვეთილო ცხრილებისა და განრიგის შეტანა. E-School-ის სისტემაში სკოლა ასევე განსაზღვრავს პირველკლასელთა ლიმიტს, ახორციელებს საფეხურის დაძლევას და მოსწავლეთა ამორიცხვას. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის ბარათი განახლებულია. სრულყოფილად არის შევსებული ასევე მასწავლებელთა პროფილები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სსიპ ქალაქ ქუთაისის N37 საჯარო სკოლა ეფექტურად თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან. სკოლა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან კომუნიკაციას ამყარებს საგანმანათლებლო რესურსცენტრის საშუალებით. სკოლას საქმისწარმოების წესით განსაზღვრული აქვს ანგარიშგებებისა და შემოსულ კორესპოდენციაზე რეაგირების პერიოდები და პროცედურები. შემოსულ კორესპოდენციაზე პასუხისმგებელი პირია საქმისმწარმოებელი.
სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირს და ინფორმაციას საგანმანათლებლო მარეგულირებელ უწყებებს. ყოველი კალენდარული წლის ბოლოს, სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშს ფინანსური და სასწავლო წლის მიმდინარეობის შესახებ, ხოლო ყოველი წლის 10 დეკემბერს წარუდგენს საქართველოს პარლამენტს, პრემიერ მინისტრს, პრეზიდენტსა და საკანონმდებლო მაცნეს საჯარო ინფორმაციის წარდგენის შესახებ ანგარიშს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის საქმისწარმოების წესი;
- საქმისმწარმოებლის შრომითი ხელშეკრულება;
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
- ერთიანი ელექტრონული სისტემა;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი დირექტორის წლიურ ანგარიშთან დაკავშირებით;

- სარეგისტრაციო ჟურნალები;
- არქივზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ ბრძანება.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; ***(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)***
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ ქუთაისის N37 საჯარო სკოლა სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის იყენებს სკოლის ვებგვერდს, სოციალური გვერდსა და დახურულ ჯგუფებს, რომელთა საშუალებითაც სასკოლო საზოგადოების წევრები და დაინტერესებული პირები იღებენ ინფორმაციას სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა აქვთ ასევე კითხვით მიმართონ სკოლას ელექტრონულ ფოსტაზე. სასკოლო სივრცეში, თვალსაჩინო ადგილასაა განთავსებული საინფორმაციო დაფა, რომელზეც რეგულარულად ხდება სიახლეების განთავსება.
გარდა ამისა, სკოლას აქვს სოციალური ქსელის გვერდი, რომელსაც აქტიურად იყენებენ სკოლის ყოველდღიური ცხოვრების, წარმატებული აქტივობებისა და საზოგადოებისათვის საჭირო ინფორმაციის განსათავსებლად.
უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სკოლას დამტკიცებული აქვს საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი, რომლითაც განისაზღვრება სასკოლო საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმატი და საშუალებები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. სკოლის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში განთავსებულია ინფორმაცია სკოლაში განხორციელებული აქტივობებისა და მიღწევების შესახებ. ინფორმაციისა და სიახლეების სანდოობა დასტურდება ჩატარებული ღონისძიებებისა და პროექტებისა ამსახველი ფოტომასალით. სკოლის დირექცია პასუხისმგებლობას იღებს გავრცელებული ინფორმაციის სისწორეზე და საჭიროების შემთხვევაში, მზადყოფნას გამოთქვამს დაადასტუროს ინფორმაციის უტყუარობა. სკოლის სოციალური ქსელის გვერდსა თუ საინფორმაციო დაფებზე ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე, რომელიც მუდმივად განახლებადია. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3.სკოლა ეფექტურად იყენებს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებს სასკოლო საზოგადოებასა და ზოგადად დაინტერესებულ პირებთან უწყვეტი და სწრაფი კომუნიკაციისათვის. კომუნიკაციის პროცესში მიღებულ უკუკავშირს კი იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. სკოლას აქვს მზაობა, მაქსიმალურად გაითვალისწინოს სასკოლო საზოგადოების მოთხოვნები, სურვილები და ინიციატივები საქმიანობის პროცესში. მშობელთა ინტერესების გათვალისწინებით, სკოლა აპირებს სკოლაში ბუფეტის ბუფეტის კვლაც ფუნქციონირებას.
სკოლას აქვს ვებ-გვერდი, რომელზედაც ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე. სკოლის გვერდზე სოციალურ ქსელში ქვეყნდება თითქმის ყოველდღიური ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე საქმიანობის შესახებ, სადაც ჩართულია კომენტარების ველი და ნებისმიერ ადამიანს აქვს საშუალება შეკითხვებითა თუ ინიციატივებით მიმართოს სკოლას. სკოლა მზაობას გამოთქვამს, განიხილონ მშობელთა ნებისმიერი ინიციატივა და შესაძლებლობის ფარგლებში, გამოიყენონ მიღებული უკუკავშირი სკოლის ხარისხის გასაუმჯობესებლად.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. სკოლა სწავლებას ახორციელებს სახელმწიფო ენაზე, შესაბამისად ყველა ინფორმაცია სკოლის ვებ გვერდზე - https://skolebi.emis.ge/. განთავსებულია სახელმწიფო ენაზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. სკოლის ვებ გვერდი, https://skolebi.emis.ge/, შეიცავს სკოლის შესახებ შემდეგ ინფორმაციას: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, საკონტაქტო ინფორმაცია, მოსწავლეთა რაოდენობა, სკოლის განვითარების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, პროგრამები, ინფრასტრუქტურა და ფინანსები. ასევე, ინფორმაცია მოსწავლის პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურების შესახებ, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები და გასაჩივრების მექანიზმები. სკოლაში ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, რომელიც ამ დროისათვის არ არის განთავსებული სკოლის ვებ. გვერდზე. ასევე, სკოლას შეცდომით აქვს ატვირთული მიმდინარე წლის ნაცვლად გასული სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.
რჩევა: სკოლამ პერიოდულად განაახლოს ვებ. გვერდი და დროულად ასახოს სიახლეები და ცვლილებები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი;
- სკოლის პროფილი eschool-ის ბაზაში;
- Eflow, email.mes.gov.ge;
- https://skolebi.emis.ge/,

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები
3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსი ქმნის საგანმანათლებლო საქმიანობის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების მყარ საფუძველს. სკოლის ძირითად დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ვაუჩერული დაფინანსება, თუმცა სკოლას ასევე აქვს დამატებითი ეკონომიკური შემოსავალი იჯარით გაცემული ფართებიდან (ძიუდოს, ფეხბურთისა და ქართული ცეკვის ფუნქციონირების მიზნით). სკოლის ბიუჯეტი მტკიცდება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე კანონის დადგენილ ვადებში. ბიუჯეტის პროექტის მომზადებისას სკოლა ითვალისწინებს სავარაუდო შემოსავლებს, მომდევნო წლის პრიორიტეტებს, სავარაუდო ხარჯებს, წინა წლის გამოცდილებას და

საბიუჯეტო კალენდარს. ბიუჯეტის დაგეგმვისას სკოლა ითვალისწინებს კონკრეტული წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულებისთვის საჭირო ფინანსური რესურსის განაწილების პრინციპს.
გარდა ამისა, სკოლის თანამშრომლებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ სკოლის ბიუჯეტის დაგეგმვისთვის საგნობრივი კათედრები მათ საჭიროებებს აცნობენ დირექციას. დირექტორი ბუღალტერთან ერთად იკვლევს საჭიროებებს, შეადგენს ბიუჯეტის პროექტს, რომელსაც განიხილავს და ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა მოხდეს ბიუჯეტის კორექტირება. თანხის განკარგვა მიზნობრივია და სრულად ხმარდება სკოლის განვითარებასა და სწავლა-სწავლების პროცესს.

გარდა ამისა, სკოლის მომდევნო წლის შესყიდვების გეგმას ადგენენ წინა წლებისა და ბაზრის კვლევის გათვალისწინებით და ამტკიცებენ მიმდინარე წლის 20 ნოემბრამდე. ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სკოლის დირექტორი წარსდგება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე წლის ფინანსური ანგარიშით, რაც დასტურდება სამეურვეო საბჭოს ოქმით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სკოლის ფინანსურ რესურსებს გეგმავს და განკარგავს სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად. ბიუჯეტის დაგეგმვა ხორციელდება რეალური გათვლებისა და გაანგარიშების საფუძველზე. სკოლის ბიუჯეტს შეიმუშავებს დირექტორი, სკოლის სტრუქტურული ერთეულებისაგან მიღებული ინფორმაციის შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე. სკოლის ბიუჯეტს ამტკიცებს და საჭიროების შემთხვევაში მასში ცვლილებები შეაქვს სამეურვეო საბჭოს. ფინანსური რესურსების განკარგვის მონიტორინგის ერთგვარი საშუალებაა სკოლის დირექტორის მიერ წლიური ფინანსური ანგარიშის წარდგენა, რომლის საფუძველზეც მოწმდება ბიუჯეტის ხარჯვის კანონიერება. სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების (ბალანსის) წარდგენას შესაბამისი უწყებისთვის.
დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის ბიუჯეტის გათვლისწინებით, სასკოლო სასწავლო გეგმითა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული პროცესები მიმდინაროებს შეუფერხებლად. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- წლიური ფინანსური ანგარიში;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი ბიუჯეტის დამტკიცებასთან დაკავშირებით;
- სკოლის ბიუჯეტი;
- სახელმწიფო შესყიდვების გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- იჯარის დოკუმენტაცია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა ხორციელდება სკოლის შიგა რეგულაციების მეშვეობით. კერძოდ, სკოლის მიერ შემუშავებული შინაგანაწესით. მოსწავლეთა ქცევისა და ასევე მასწავლებლის ეთიკის კოდექსზე დაყრდნობით უზრუნველყოფილია მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა და გარანტიები. მოსწავლეთა უფლებების დაცვას უზრუნველყოფს ასევე მოსწავლის მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება, რაც თავის მხრივ ითვალისწინებს მოსწავლის უფლება-მოვალეობების საკითხსაც.

მოსწავლეთა პერსონალური ინფორმაცია დაცულია სკოლის ადმინისტრაციის, ასევე, მასწავლებლებისა და კლასის დამრიგებელთა მხრიდან. მშობელთა კრებების ჩატარების დროს კლასის დამრიგებელი საერთო შეხვედრაზე განიხილავს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას.

სკოლა მოსწავლეთა უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველსაყოფად მოქმედებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი. სკოლას ჰყავს 4 მანდატური. მოსწავლეთა ფიზიკურ უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ ასევე დარაჯები.

სკოლის მმართველობით პროცესებში მონაწილეობის უფლება დაცულია მოსწავლეთა შესაბამისი კოლეგიალური ორგანოების წევრობით. სკოლაში კანონმდებლობის შესაბამისად ტარდება მოსწავლეთა თვითმართველობის არჩევნები. მოსწავლეთა წარმომადგენლები საშუალო საფეხურიდან, შედიან როგორც სამეურვეო საბჭოს, ისე დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობაში. სკოლაში ფუნქციონირებს ასევე მრჩეველთა საბჭო, სადაც განიხილება საკითხები, რომლებიც გავლენას ახდენს მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე და ამავდროულად მხარს უჭერს მოსწავლეთა ინიციატივებს.
მოსწავლეები სკოლაში თანაბარ პირობებში, დისკრიმინაციის გარეშე სარგებლობენ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული განათლების შეუზღუდავად მიღების უფლებით, მატერიალური თუ ადამიანური რესურსის სერვისით. მათთვის შექმნილია უსაფრთხო, თანამშრომლობითი, ინკლუზიური გარემო. მოსწავლეთა სურვილების, ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით სკოლაში იქმნება კლუბები, მოსწავლეთა ინიციატივით იგეგმება და ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები.
მოსწავლეები ჩართულები არიან სკოლის მართვაში, აქვთ გასაჩივრების უფლება, აქვთ ინფორმაცია საკუთარი უფლებების შესახებ. გარდა ამისა, ბავშვის ერთ-ერთი ფუნდამეტური უფლებაა ხარისხიანი და ინკლუზიური განათლების მიღება. სსსმ მოსწავლეებისთვის ხარისხიანი განათლების უზრუნველსაყოფად, სკოლის ინკლუზიური განათლების გუნდი მუშაობს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სასწავლო გეგმების შემუშავებაზე და თითოეულ სსსმ მოსწავლეს სთავაზობს შესაბამის საგანმანათლებლო მომსახურებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სკოლაში უზრუნველყოფილია მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა. ამ მიზნით შექმნილია მოსწავლეთა თვიმმართველობა, რომელშიც გაერთიანებული არიან საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები. დამრიგებლები ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში კიდევ ერთხელ აცნობენ მოსწავლეებს საკუთარ უფლებებსა და მოვალეობებს. სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილას. გარდა ამისა, დამრიგებლების მიერ ხდება შინაგანაწესის გაცნობა მშობელთა კრებებზე. შინაგანაწესის გაცნობის ფაქტს მშობლები ადასტურებენ ხელმოწერით.
სკოლა მოსწავლეებისთვის აწყობს საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიებს. ასევე, სადამრიგებლო საათის ფარგლებში, დამრიგებლები გეგმავენ და ახორციელებენ უფლებებისა და მოვალეობების შესახებ დისკუსიებს, ნახატების კონკურსებს, ფილმებისა და ვიდეორგოლების განხივლვას, როლურ თამაშებს. მოსწავლეთა უფლება-მოვალეობების განხილვა და შეხსენება ხდება საკლასო ოთახებში, ერთობლივად შემუშავებულ ქცევის წესებში.
გარდა ამისა, სკოლის შენობაში, თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ცხელი ხაზისა და სახალხო დამცველის აპარატის ნომრები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომელშიც ასახულია მხარეთა

უფლება-მოვალეობები, მოსწავლის უფლებები და ვალდებულებები, ასევე ინფორმაციას შემდეგ საკითხებზე: მოსწავლის პერსონალურ მონაცემებთა გამოყენება, სასწავლო და უქმე დღეები, მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი, დავის გადაწყვეტის წესი, მხარეთა რეკვიზიტები და დამატებითი პირობები. მშობლები ხელმოწერით ადასტურებენ თანხმობას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პუნქტების შესრულებაზე. ხელშეკრულება ფორმდება სასწავლო წლის დასაწყისში და ძალაშია სწავლის დასრულებამდე ან მოსწავლის ამორიცხვამდე/სტატუსის შეჩერებამდე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებები;
- მშობლებთან ურთიერთობის დებულება;
- მშობელთა კრებების ოქმები;
- თვითმმართველობის ოქმები;
- გასაჩივრების დეტალური პროცედურა;
- დამრიგებლის პორტფოლიო;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; ***(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)***
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებული პირისათვის სკოლაში ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურების შესახებ ინფორმირებას. სკოლის მოსწავლეების მშობლებს კლასის დამრიგებლების მხრიდან მიეწოდებათ ინფორმაცია მობილობის განხორციელების, სტატუსის შეჩერება-აღდგენის პროცედურების შესახებ ინდივიდუალურ შეხვედრებზე, სატელეფონო კომუნიკაციისას და მშობელთა კრებებზე. დამრიგებლები მოსწავლეთა მშობლებს, ასევე აწვდიან ინფორმაციას გაცდენების შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგის, კერძოდ, სტატუსის შეჩერების შესახებაც.

აღნიშნული პროცედურების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გამჭვირვალობის მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი. ამასთან, სკოლის მიერ გამოცემული ბრძანებების შემოწმების დაფუძველზე დგინდება, რომ სკოლა მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცესში ხელმძღვანელობს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის" შესაბამისად. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სკოლის მიერ გამოცემული ბრძანებების შემოწმების დაფუძველზე დგინდება, რომ სკოლა იცავს მათ მიერ შემუშავებულ მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესს. გარდა ამისა, სკოლაში ვიზიტისას შემოწმდა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის გვერდი, რომლის საფუძველზეც დგინდება, რომ სკოლაში აღნიშნული პროცესები ხორციელდება ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის" შესაბამისად. ასევე, კლასისა და საფეხურის დაძლევა ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმის გათვალისწინებით. ინფორმაია მოსწავლეთა ჩარიცხვა/ამორიცხვის, მობილობის, სტატუსის შეჩერება/აღდგენის, კლასის/დონის დაძლევის შესახებ ასახულია ელექტრონულ ბაზაში eSchool-ში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3.სასკოლო სასწავლო გეგმა წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც არეგულირებს სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეებს, პირობებს, პროგრამებსა და მათ სპეციფიკას. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა საჯაროა და ხელმისაწვდომია. ის გამოკრულია სკოლის შენობაში. სკოლას დერეფანში აქვს გამოკრული ასევე სკოლის შინაგანაწერი.

დამრიგებლები ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში მშობლებსა და მოსწავლეებს გასაცნობად წარუდგენენ სკოლის შინაგანაწესსა და სასკოლო სასწავლო გეგმას. მშობლებსა და მოსწავლეებს აქვთ ინფორმაცია ქცევის წესების, საგნობრივი გამოცდების, პირველ კლასში მოსწავლეთა კლასებში განაწილების შესახებ. მე-4 კლასის დასრულების შემდეგ, სკოლა მოსწავლეებს/მშობლებს სთავაზობს მეორე უცხოური ენის არჩევას. მშობელთა სურვილი არჩეული ენასთან დაკავშირებით, ფიქსირდება მშობელთა კრების ოქმებში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სკოლის პერსონალის მიერ სასკოლო საზოგადოებისათვის მიწოდებული ინფორმაცია არის მუდმივად განახლებული და არადისკრიმინაციულია. კლასის დამრიგებლები სისტემატურად აწვდიან ინფორმაციას სერვისების, დაგეგმილი შიდა სასკოლო და ეროვნული ოლიმპიადების, სპორტული აქტივობების, ღონისძიებების, განსახორციელებელი პროექტების შესახებ მოსწავლეებსა და მშობლებს სოციალური ქსელითა თუ პირისპირ, საინფორმაციო შეხვედრებზე. სკოლის მიერ არადისკრიმინაციული სერვისებისა და პროგრამების შეთავაზება ხდება მუდმივად. სკოლა სასკოლო სასწავლო გეგმით მოსწავლეებს სთავაზობს იმ საგნობრივ პროგრამებს, რომლებიც ემსახურება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევას. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. განცხადებებს პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ სკოლა განათავსებს საინფორმაციო დაფაზე, ზიარდება სკოლის სოციალური ქსელის გვერდზე და სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფებში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი;
- მოსწავლეთა მიერ საფეხურის დაძლევის, ჩარიცხვისა და ამორიცხვის შესახებ ბრძანებები;
- მშობელთა კრების ოქმი;
- დამრიგებლის პორტფოლიო;
- დამრიგებლის დებულება;
- ვებ.გვერდი;
- სკოლის სოციალური ქსელის გვერდი.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; ***(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)***
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, რომლის მიზანია განსაზღვროს სკოლის მიერ, მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის მექანიზმები და მათი განხორციელების პროცედურები. სკოლა დაინტერესებულია ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სკოლაში ადაპტაციას და გააადვილოს სასკოლო პროცესში პირველკლასელთა და მობილობის წესით გადმოსული მოსწავლეების ჩართულობა.

საყურადღებოა, რომ სკოლას ინდივიდუალურად აქვს განსაზღვრული პირველკლასელთა ადაპტაცია, სსსმ მოსწავლეთა ადაპტაცია, მობილობით ჩარიცხულ მოსწავლეთა ადაპტაცია, საბაზო/საშუალო საფეხურის მოსწავლის ადაპტაცია. სკოლა აკვირდება მოსწავლის ადაპტაციის პროცესს და განსაზღვრული აქვს წარმატებული ადაპტაციისა და დეზადაპტაციის ნიშნები. პროცედურულად მოსწავლის ადაპტაცია ხორციელდება შედეგნაირად: მოსწავლის ადაპტაციის პროცესს ხელმძღვანელობს კლასის დამრიგებელი, რომელიც ეცნობა მოსწავლის პირად საქმეს, ხვდება მშობლებს, აგროვებს ინფორმაციას მოსწავლის მიღწევების, თავისებურების შესახებ. აცნობს მას საგნის მასწავლებლებს და მოსწავლეებს. თანაკლასელებს ახალი მოსწავლე გაჰყავთ სასკოლო სივრცეში, აცნობენ გარემოს, სკოლის წესებსა და ტრადიციებს. დამრიგებელი მოსწავლეს აცნობს შინაგანაწესს. ბიბლიოთეკართან თანამშრომლობით მოსწავლეს გადაეცემა წიგნები. მოსწავლის კანონიერ წარმომდგენელთან ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება.

რაც შეეხება პირველკლასელთა ადაპტაციას, მასწავლებელი აწყობს პირველკლასელების საზეიმო მიღებას წინასწარ მორთულ საკლასო ოთახში. თუმცა, სკოლა ზრუნავს, რომ მათი ადაპტაციის პროცესი დაიწყოს ბევრად ადრე. კერძოდ, სკოლის მხრიდან ყოველწლიურად ხორციელდება ვიზიტი სკოლასთან ახლომდებარე საბავშვო ბაღში. ასევე ტრადიციად არის მიღებული სკოლაში ბაღის აღსაზრდელების მიწვევა სხვადასხვა ღონისძიებაზე. სკოლის თანამშრომლები ღია კარის დღეს აწყობენ და მომავალ პირველკლასელებს აცნობენ სკოლის შენობას, ეწყობა შიდა ექსკურსია, სადაც მომავალი პირველკლასელები სტუმრობენ პირველი კლასების საკლასო ოთახებს, სკოლის ბიბლიოთეკას, სპორტულ და სააქტო დარბაზებს. ტარდება ასევე შეხვედრები მშობლებთან, სადაც მათ სკოლის წარმომადგენლები აცნობენ სკოლის მიღწევებს, სკოლის სპეციფიკასა და პრიორიტეტებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლა აქტიურად მუშაობს სკოლაში პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნაზე და მოსწავლეთა ემოციურ მხარდაჭერაზე. აღნიშნული მიზნით, სწავლის დაწყებისას სკოლაში მოსწავლეებსა და მშობლებს ხვდებათ სადღესასწაულო გარემო, საზეიმოდ მორთული ეზო და საკლასო ოთახები. ტარდება ასევე საზეიმო ღონისძიება. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სასკოლო ღონისძიებებში ახალი მოსწავლეების ჩართულობას.
მოსწავლეთა ადაპტაციის პროცესში ყველაზე მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ კლასის დამრიგებლებს. ისინი ხელს უწყობენ მოსწავლეების გაცნობასა და დამეგობრებას თანამშრომლობითი აქტივობებით და არაფორმალურ აქტივობებში ჩართვით. სკოლაში სსსმ მოსწავლის ჩარიცხვის შემთხვევაში, სკოლა ორგანიზებას უწევს მოსწავლისა და მშობლის სპეციალურ მასწავლებელთან შეხვედრას, რესურსოთახში ვიზიტს, რესურსებისა და აქტივობების გაცნობას.
გარდა ამისა, აქტიურად ტარდება საინფორმაციო შეხვედრები მოსწავლეთა მშობლებთან, სიახლეების გაცნობა და ახლად გადმოსული მოსწავლეებისათვის სასკოლო გარემოს გაცნობა. პირველკლასელებისათვის ხდება საზეიმო სივრცის მოწყობა, სახელმძღვანელოებისა და ბუკების გადაცემა ხელშეკრულების გაფორმების საფუძველზე. მათ მშობლებს კლასის დამრიგებლები აცნობენ სკოლის შინაგანაწესსა და შიდა სასკოლო რეგულაციებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სკოლის თანამშრომლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთათვის სემესტრული, წლიური, საშემოდგომო ან ექსტერნატის გამოცდების დანიშვნის შემთხვევაში, მოსწავლეებს ადმინისტრაციის მხრიდან აქვთ სრულყოფილი ინფორმაცია და მხარდაჭერა. გარდა ამისა, სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია მასწავლებელთა მხრიდან კონსულტაციების გაწევის ვალდებულება აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით, საშემოდგომო და ექსტერნატის გამოცდების, ასევე ოლიმპიადებისა და სხვადასხვა კონკურსებში მონაწილეობის დროს. მოსწავლეებმა იციან, რომ აქვთ უფლება შეფასების ამაღლების მიზნით, მოითხოვონ ნიშნის ასამაღლებელი სემესტრული გამოცდის ჩაბარება.
გარდა ამისა, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისა და მათი მშობლებისათვის ინფორმაციის მიწოდებას მობილობის უფლების შეზღუდვის, გაცდენების შემთხვევაში ექსტერნის გამოცდის დანიშვნის შესაძლებლობისა და სტატუსის შეჩერების შესახებ. გარდა ამისა, სკოლა მათ აწვდის ინფორმაციას შინ სწავლების უფლების შესაძლებლობის შესახებ.

სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრების დროს მათ ასევე განაცხადეს, რომ მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით, ხშირად მიმართავენ ინდივიდუალურ მუშაობას მოსწავლეებთან გაკვეთილების დასრულების შემდეგ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. მოსწავლისათვის კანონმდებლობითა დადგენილი უფლებების რეალიზებისთვის, სკოლა ახორციელებს სრულყოფილ ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. მათ შორის, პირველკლასელთა რეგისტრაციის გამოცხადებისთანავე ინფორმაციას ანთავსებს როგორც სოციალური ქსელში, ასევე, სკოლაში საჯარო სივრცეში, რათა მშობლებს შესაძლებლობა მიეცეთ კანონით დადგენილ ვადებში შეძლონ მოსწავლეთა სკოლაში რეგისტრაცია.
სკოლის მიერ შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სემესტრული გამოცდის დანიშვნის შესაძლებლობას ქულის ამაღლების მიზნით.
სკოლა მზადყოფნას გამოთქვამს, გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში მომავალშიც გაუწიოს მოსწავლეს ადმინისტრაციული მხარდაჭერა კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების ფარგლებში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. სკოლას ჰყავს საკმაოდ კვალიფიციური პერსონალი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა დამატებით, არაფორმალურ აქტივობებში ჩართულობას და მოსწავლეთა ინიციატივების წახალისებას. სკოლის მოსწავლეთა შესაძლებლობების წარმოჩენას განსაკუთრებით ხელს უწყობს სასკოლო კლუბების არსებობა, სადაც მოსწავლეები გაერთიანებული არიან ინტერესის სფეროს მიხედვით. აღნიშნული ინფორმაცია ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის. სკოლაში განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაციის განთავსება ხდება სკოლის სოციალური ქსელის შესაბამის გვერდზე.
სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა კლუბი. მაგალითად, სასკოლო სამოქალაქო კლუბი „ევერესტი“, რომელიც სკოლაში 2012 წლიდან ფუნქციონირებს. კლუბის წევრები დისკუსიების, დებატებისა და სასკოლო პროექტების საშუალებით ცდილობენ გამოავლინონ და გამოიკვლიონ მათ კლასში, სკოლაში, საზოგადოებაში არსებული პრობლემები. ამ მიზნით, ისინი ქმნიან პროექტებს, იძიებენ დონორ ორგანიზაციებს და მუშაობენ პრობლემის გადასაჭრელად. კლუბის ფარგლებში განხორციელდა მრავალი საგრანტო პროექტი, რის საფუძველზეც სკოლა აღიჭურვა მატერიალური და ტექნიკური რესურსით.
სკოლაში ფუნქციონირებს ასევე გეოგრაფიის კლუბი - „გეოგრაფები“, წიგნის კლუბი - „წიგნის ჭიები“, „რობოტიკისა და ტექნოლოგიური მეწარმეობის სკოლის“ ფარგლებში შექმნილია „რობოტიკის კლუბი“, რომელიც ფუნქციონირებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური მეწარმეობისა და ინოვაციების განვითარების ცენტრი Fablab Iliauni • ფაბლაბ ილიაუნისთან თანამშრომლობითა და ამერიკის საელჩოს ალუმნი საგრანტო პროგრამის მხარდაჭერით. აღნიშნული პროგრამა მიზნად ისახავს უფროსკლასელებში საინჟინრო და ტექნოლოგიური დარგების პოპულარიზაციას. კლუბის მხარდამჭერია ასევე Goal oriented Academy, რომლიც მოსწავლეებს უვითარებს პროგრამირებისა და ტექნიკურ უნარებს. 2025/2026 სასწავლო წლისთვის დაგეგმილია „Innovative Tech Classroom”-ის შექმნა, რისთვისაც სკოლამ უკვე გამოყო დამატებითი სივრცე, სადაც განთავსდა 15 ლეპტოპი და დამონტაჟდა ეკრანი. 17 მარტს სკოლაში ჩატარდა- FPV

დრონების მასტერკლასი. შეხვედრაზე მოსწავლეები გაეცნენ დრონების სამყაროს, განსაკუთრებით FPV (First Person View) დრონებს. სკოლის თანამშრომლებმა ინტერვიუს დროს განაცხადეს, რომ მასტერკლასი იყო სახალისო, პრაქტიკული და საინტერესო. მოსწავლეები გაეცნენ თანამედროვე ტექნოლოგიებს, გაიმდიდრეს უნარები და აღმოაჩინეს ახალი ინტერესის სფერო. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ იგეგმება კიდევ ერთი ახალი კლუბის ,, e-ლიტ კლუბი"-ს დაფუძნება, რომელიც ფუნქციონირებას დაიწყებს მომავალი 2025/2026 სასწავლო წლიდან.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლა წარმატებულად თანამშრომლობს FinEdu-ს ციფრულ პლატფორმასთან. იღებენ მონაწილეობას მათ მიერ გამოცხადებულ კონკურსებში. სკოლის მოსწავლეების მიერ წარდგენილმა პროექტმა ფინანსურ წიგნიერებაზე გაიმარჯვა, მოიპოვა საპრიზო ადგილი და დასაჩუქრდა წიგნების შესაძენი ვაუჩერით. ინოვაციური განათლების ხელშეწყობა და ფორმალურ და არაფორმალურ სასწავლო პროცესში სწავლების STEM მიდგომის დანერგვის მიზნით, სკოლამ გააფორმა მემორანდუმი STEAMit-თან.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

6.სკოლაში დიდი ყურადღება ენიჭება სასწავლო პროცესში ჩართული პირების ინტერესებს, ხდება მათი წინადადებების და ინიციატივების გათვალისწინება და მხარდაჭერა. მშობელთა კრებებზე, ინდივიდუალურ შეხვედრებზე, მოსწავლეებთან გასაუბრების დროს, სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით იგეგმება სხვადასხვა აქტივობები. მაგ. მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით სკოლაში ტარდება სხვადასხვა სპორტული აქტივობები. მათივე ინიციატივით, მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა საგანმანათლებლო კონკურსებსა და ღონისძიებებში. მაგ: მიმდინარე სასწავლო წელს მოსწავლეთა სურვილისა და ინიციატივის გათვალისწინებით, შეიქმნა სკოლის გუნდი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ფესტივალში „ქართული ლიგა". აღსანიშნავია ასევე მიმდინარე წელს, მე-11 კლასის გუნდის მიერ „ტვინების ბრძოლა"-ში მოპოვებული წარმატება.

სკოლაში დამკვიდრებული არაფორმალური განათლების მიმართულებით პროექტების/აქტივობების განხორციელება ხდება მოსწავლეთა უკუკავშირისა და ინიციატივების გათვალისწინებით, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს მოსწავლეთა სწავლის ხარისხის ამაღლებას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
- მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმები;
- კლუბების დებულებები;
- განხორციელებული ღონისძიებების ამსახველი მასალები;
- მოსწავლეთა თვითმართველობის ოქმები;
- საშემოდგომო გამოცდის კონსულტაციისა და ჩატარების განრიგის შესახებ ბრძანება.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხელმისაწვდომობის მიზნით, სკოლა სადამრიგებლო საათის ფარგლებში განიხილავს პროფესიის შერჩევასთან დაკავშირებულ საკითხებს. ასევე ატარებენ საინფორმაციო შეხვედრებს სკოლის ბაზაზე. მოწვეული ჰყავდათ მშობლები, რომლებმაც ისაუბრეს პროფესიებზე, შერჩეული პროფესიის სისწორე, რამ განაპირობა აღნიშნული პროფესიის არჩევა და ა.შ.

სკოლაში ინტერესების მიხედვით შეიქმნა გარკვეული ჯგუფები, როგორებიცაა მეღვინეობა- მეფუტკრეობის ჯგუფი, ტექნიკოსები, დიზაინით დაინტერესებული მოსწავლეები და სხვა. აღნიშნულ ჯგუფებს ინტერესების მიხედვით ჰქონდათ შეხვედრები პროფესიულ სასწავლებლებთან. სკოლა თანამშრომლობს ასევე კადეტთა სამხედრო ლიცეუმთან, რომელიც ასევე პერიოდულად სტუმრობენ სკოლას, ხვდებიან მოსწავლეებს და ესაუბრებიან მათ პროფესიაზე.

სკოლამ პროფორიენტაციის მიმართულებით განახორციელა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტი -"ნაბიჯი მომავალში", რომლის მიზანიც იყო სკოლა დახმარებოდა მოსწავლეებს აერჩიათ საკუთარი შესაძლებლობების ადეკვატური პროფესია, დაერწმუნებია ისინი საკუთარი გადაწყვეტილების სისწორეში, გაეხადა მოსწავლეები მეტად თავდაჯერებული, გასჩენოდათ მათ საკუთარი ცოდნისა და ფინანსური მდგომარეობისადმი ნდობა. პროექტის ფარგლებში, მოსწავლეებს მომავალი პროფესიის სწორად და გააზრებულად ასარჩევად უნდა მოეხდინათ საკუთარი შესაძლებლობების იდენტიფიცირება და საკუთარი თავის შეცნობა.

აღნიშნული პროექტის უმთავრესი მიზანია სკოლის, ოჯახის და საზოგადოების კოორდინირებული ქმედებით, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეების ხელშეწყობა, გახდნენ აქტიური მოქალაქეები და მომავალი პროფესიების სწორად არჩევაში მოახდინონ საკუთარი შესაძლებლობების იდენტიფიცირება.

გარდა ამისა, სკოლა გეგმავს ჩაატაროს კვლევა და შედეგების ანალიზის შესაბამისად განსაზღვროს მოსწავლეთა ინტერესები და მიმართულებები, რომელიც დაეხმარება მათ პროფესიის არჩევაში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით, აცნობს ინფორმაციას გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ინიცირებულ სიახლეებზე, კერძოდ ღია კარის დღეებთან დაკავშირებით, საგამოცდო ფორმატის

ცვლილებებსა და ახალ პროგრამებთან დაკავშირებით. ასევე მოსწალეებს აწვდიან ინფორმაციას პროფესიულ სასწავლებლებზე. გარდა ამისა, სკოლა ხელს უწყობს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელსა თუ პროფესიულ სასწავლებელს, მოაწყონ ღია კარის დღეები სკოლაში და გააკეთონ პრეზენტაციები სკოლის მოსწავლეებისთვის. ამასთანავე, საბაზო და საშუალო საფეხურის დამრიგებლები ატარებენ კლასის საათებს პროფესიული ორიენტაციის ხელშესაწყობად. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სკოლის მიერ პროფორიენტაციის მიმართულებით განხორციელებული პროექტი - „ნაბიჯი მომავალში“ არის პერმანენტული ხასიათის პროექტი, რომელიც შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, ყოველ წელს განხორციელდება სხვადასხვა აქტივობების საშუალებით. სკოლა პროფესიებზე სასაუბროდ იწვევს წარმატებულ ადამიანებს სხვადასხვა სფეროდან. ახორციელებენ ვიზიტს კოლეჯში „იბერია“. სკოლის წარმატებული კურსდამთავრებულები ხვდებიან მასწავლებლებსა და მოსწავლეებს და აცნობენ მათ თავიანთ წარმატებულ ისტორიებს. სკოლაში მიღებულ ცოდნას მოსწავლეები წარმატებით იყენებენ უმაღლეს სასწავლებლებში. ამის დასტურად სკოლა კურსდამთავრებულების წამყვან თანამდებობებზე წარმატებული მოღვაწეობას ასახელებენ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პროექტი -“ნაბიჯი მომავალში“;
- პროფორიენტაციის მიმართულებით შეხვედრების ამსახველი მასალები;
- დამრიგებლების პორტფოლიოები.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1.სსიპ ქალაქ ქუთაისის N37 საჯარო სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები. კერძოდ, სასწავლო წლის დასაწყისში სკოლა ქმნის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმას, სადაც გაწერილია გასახორციელებელი აქტივობები, მათი შესრულების ვადებისა და პასუხისმგებელი პირების მითითებით. სკოლაში ჩარიცხული სსსმ მოსწავლეთათვის სკოლა

უზრუნველყოფს სასკოლო გეგმის მოდიფიკაციას, სასწავლო გარემოს აკომოდაციას და საჭიროების შემთხვევაში ალტერნატიული სასწავლო მიზნების შემუშავებას. პირველ კლასში მოსწავლის ჩარიცხვა ხორციელდება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 04/ნ ბრძანების თანახმად. პირველ ეტაპზე რეგისტრირდებიან სსსმ მოსწავლეები და მშობლის მომართვის საფუძველზე იგზავნება მოთხოვნა მოსწავლის შეფასების მიზნით. მიღებული დასკვნის საფუძველზე მოსწავლეს ენიჭება სტატუსი. სსსმ მოსწავლეთათვის ისგ-ს შედგენაში აქტიურად არიან ჩართული მოსწავლის მშობელი, დამრიგებელი, სპეც. მასწავლებელი და საგნის მასწავლებლები.

სკოლას შემუშავებული აქვს ასევე ინკლუზიური განათლების კათედრის დებულება, რომელიც განსაზღვრავს სსსმ მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციებს და შექმნილია სსსმ მოსწავლეების ზოგადი განათლების უზრუნველსაყოფად. აღნიშნული დოკუმენტით განმარტებულია სსსმ მოსწავლის ცნება, ადგენს სსსმ მოსწავლის სკოლაში მიღების პროცედურას, ხელს უწყობს მოსწავლისთვის სასურველი და ადეკვატური გარემოს შექმნას და ინკლუზიური განათლების ეფექტურ მართვას.
დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლაში შექმნილია შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც განიხილავს მონიტორინგის შედეგებს და წლის ბლოს შეიმუშავებს დასკვნას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სკოლაში მოსწავლეთა სპეციალურის საგანმანათლებლო საჭიროებების შეფასება ხორციელდება მშობელთა მიმართვის საფუძველზე კანონით დადგენილი წესით. სკოლა მიღებული დასკვნის საფუძველზე ქმნის ისგ ჯგუფებს, რომლებიც შეიმუშავებენ მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმებს. ინდ. გეგმები მორგებულია მოსწავლის საჭიროებებზე, შესაძლებლობასა და უნარებზე. სსსმ მოსწავლეებთან მუშაობს 6 სპეციალური მასწავლებელი და 5 ინდივიდუალური ასისტენტი. სკოლის მიერ შექმნილი ისგ ჯგუფები აქტიურად თანამშრომლობენ ინკლუზიური განათლების კათედრასთან. სსსმ მოსწავლეებისათვის შექმნილია სათანადო გარემო. სკოლას აქვს რესურსოთახი, რომელიც აღჭურვილია მოსწავლეებისათვის საჭირო სასწავლო რესურსით. წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.
დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები სისტემატურად ესწრებიან სხვადასხვა საგანმანათლებლო თუ საინფორმაციო ტრენინგ-კურსებს. მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას უზიარებენ კოლეგებს. სპეციალური მასწავლებლებისა და დირექციის ხელშეწყობით იმართება საინფორმაციო შეხვედრები, ცნობიერების ამაღლების მიზნით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა;
- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში;
- ისგ ჯგუფების შექმნის ბრძანებები;
- ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ანგარიში;

- ინდ. გეგმები;
- ინკლუზიური განათლების კათედრის დებულება;
- ინკლუზიური განათლების კათედრის მიერ განხორციელებული აქტივობები.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. 2024-2025 სასწავლო წელს სკოლა არ თავაზობს დამატებით (არასავალდებულო) მომსახურებას მოსწავლეებს. თუმცა, სკოლას აქვს ფასიანი წრეების ფუნქციონირებისა და გახანგრძლივებული სწავლების გამოცდილება. მშობლების სურვილის გათვალისწინებით, სკოლა მომდევნო სასწავლო წელს კვლავ აპირებს მოსწავლეთათვის გახანგრძლივებული სწავლების შეთავაზებას. იგეგმება ასევე ბუფეტის ფუნქციონირებს სკოლაში, რაც სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო ვერ განხორციელდა მიმდინარე სასწავლო წელს. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას აქვს გაიჯარებული ფართი, ძიუდოს, ფეხბურთისა და ქართული ცეკვის წრის ფუნქციონირების მიზნით. სკოლის სარგებლობაში არსებული ფართის გაიჯარება განხორციელდა კანონით დადგენილი წესით. კერძოდ, სკოლას აქვს მიღებული სამეურვეო საბჭოს, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და ახალგაზრდობის სამინისტროს და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თანხმობები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სკოლა მიმდინარე სასწავლო წელს მოსწავლეებს არ სთავაზობს დამატებით არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას, თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ სკოლის სარგებლობაში არსებული ფართის გაიჯარებულია ძიუდოს, ფეხბურთისა და ქართული ცეკვის წრის ფუნქციონირების მიზნით, აღნიშნული წრეები კი ძირითადად გათვლილია სწორედ ამ სკოლაზე, მოსწავლეთა მიერ აღნიშნული

მომსახურების მიღება ბუნებრივია ემსახურება მათი განვითარების ხელშეწყობას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სკოლის მიერ სხვადასხვა წრის ფუნქციონირების მიზნით ფართის გაიჯარება განხორციელდა კანონით დადგენილი წესით, შესაბამისი ნებართვების მოპოვების შემდეგ. სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებისა და ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის შედეგების გათვალისწინებით, სკოლაში არსებული ყველა მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესების დაცვას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ფართის იჯარით გაცემის დოკუმენტაცია;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი ფართის გაიჯარებასთან დაკავშირებით;
- განათლების სამინისტროს თანხმობა;
- სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თანხმობა.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი -დაწყებითი საფეხური	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი--დაწყებითი საფეხური

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმი, დაწყებითი საფეხურისათვის, შეიქმნა სასწავლო წლის დასაწყისში სკოლაში არსებული კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის საფუძველზე. დაწყებითი საფეხურის კათედრა ყოველი ახალი სასწავლო წლისთვის აქტიურად მონაწილეობს სასკოლო გეგმის შემუშავების პროცესში, რომელიც ემყარება ესგ-ს, სკოლის მისიას და წინა წლის შედეგების შეჯამების ანალიზს. დაწყებით საფეხურზე კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო სასკოლო საზოგადოებამ, მასში გათვალისწინებულია მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესები. დამრიგებლებმა და კათედრის ხელმძღვანელებმა შეიმუშავეს წლიური სამოქმედო გეგმა, რომელიც წინასწარ გააცვნეს მშობლებს, მოსწავლეებს, გაითვალისწინეს მათი მოსაზრებები, წინადადებები, შენიშვნები. სასწავლო წლის ბოლოს მასწავლებლები საგნობრივ კათედრებზე აჯამებენ სასწავლო პროცესს, აანალიზებენ მოსწავლეთა შედეგებს და შესაბამისად გეგმავენ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. კურიკულუმზე მუშაობისას გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. დამრიგებლებმა და კათედრის ხელმძღვანელები შეიმუშავებენ წლიურს სამოქმედო გეგმა, რომელსაც აცნობენ მშობლებს და ითვალისწინებენ მოსაზრებებს, შენიშვნებსა თუ წინადადებებს. რედაქტირებული გეგმები ერთიანდება სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომელიც განსახილველად წარედგინება სამეურვეო საბჭოს, ხოლო დასამტკიცებლად - პედაგოგიურ საბჭოს. სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში მონაწილეობს მთელი სასკოლო საზოგადოება, მშობლები ინტერესდებიან არა მარტო თავიანთი შვილების აკადემიური განათლებით, არამედ მათი კლასგარეშე და სკოლისგარეშე აქტივობებით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. ყოველწლიურად კურიკულუმი წინა წელს გამოვლენილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე ახლდება და მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლების, დირექციის ჩართულობით ვითარდება. მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს. მათი მუშაობა მიმართულია მოსწავლეთა პიროვნულ, სოციალურ განვითარებაზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სასკოლო სასწავლო გეგმა, საგნობრივი კურიკულუმები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის, ხდება მათი განხილვა მშობელთა კრებებზე, ინდივიდუალურ შეხვედრებზე, სამეურვეო და პედაგოგიურ საბჭოებზე. მშობლებს და მოსწავლეებს წინასწარ ეცნობებათ, თუ რა დავალებებზე მოუწევთ მუშაობა, მათი ჩართულობით იგეგმება სხვადასხვა სასკოლო და სკოლისგარეშე აქტივობები. მშობლები თანამშრომლობენ მასწავლებლებთან, დირექციასთან, სადაც აქვთ შესაძლებლობა დააფიქსირონ თავიანთი მოსაზრებები, წინადადებები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

✓ სასკოლო სასწავლო გეგმა;

✓ პედსაბჭოს სხდომის ოქმები;

✓ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;

✓ მშობელთა უკუკავშირის ფორმები;

✓ საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმები;

✓ სკოლის თვითშეფასების ფორმა;

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;
3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;
5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. კათედრების მიერ შემუშავებული წლიური სამოქმედო გეგმები ითვალისწინებს საგნობრივ კურიკულუმებს, რომელთა შედგენისას მთავარი მიზანია მოსწავლეთა პიროვნული განვითარება, ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, რომელთა გააზრებაც მიმართულია შედეგების მიღწევაზე. შუალედური მიზნების მისაღწევად მასწავლებლები ითვალისწინებენმოსწავლეთა ინტერესებს, წინარე ცოდნას, საჭიროებებს. მშობლები ჩართული არიან პროექტებსა და კომპლექსური დავალებების შესრულებისას, ეს კიდევ უფრო ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას. კურიკულუმში ასახულია დაწყებით საფეხურზე მისაღწევი შედეგები. კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებულია სასწავლო მასალის ეტაპობრივად გადაცემა, ცნებებისა და ახალი საკითხების საფუძვლიანი განხილვა.

კომპლექსური დავალებები ემსახურება მოსწავლეთა განვითარებას ესგ-ის მიხედვით.**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. დაწყებით საფეხურის კურიულუმში იგეგმება სავალდებულო საგნობრივ მოთხოვნები, რომლებიც განსაზღვრულია ესგ-ის საგნობრივ სტანდარტებში. საგნის სამიზნე ცნებებზე დაფუძნებით სტანდარტი განსაზღვრავს თუ რა უნდა შეძლოს მოსწავლემ დაწყებით საფეხურზე. საგნობრივი კურიკულუმი გვიჩვენებს სამიზნე ცნებამდე მისვლის გზას, ასევე თუ რა დავალებებს, თემებს, დამატებით რესურსებს, შეფასების ინსტრუმენტებს სთავაზობს სკოლა მოსწავლეს. კურიკულუმის შედგენისას ვითვალისწინებთ შემდეგ უნარებს: კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა, ხასიათი/ნებისყოფა, მოქალაქეობა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სკოლაში გვაქვსაქვს ყველა ის რესურსი, რომელიც საჭიროა კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად - სახელმძღვანელოები, ცხრილები, რუკები, ბარათები, კომპიუტერული ტექნიკა, პროექტორი, მონიტორი, ეკრანი. ონლაინ რესურსებს, ან თავად ქმნიან საჭირო რესურსს. ასევე გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლეთა საჭიროებები, შესაძლებლობები და ინტერესები. ხდება სხვადასხვა ინტერაქტიული ნიმუშების გამოყენება, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა თანაბარ ჩართულობას. დაწყებით საფეხურზე არის 18 სსსმ მოსწავლე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. მოსწავლეთა შესაძლებლობები და ინტერესები გათვალისწინებულია კურიკულუმის შედგენისას, დავალებები და აქტივობები მორგებულია ყველა მოსწავლეზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. ყველა საგანში კათედრებზე შემუშავებულია შეფასების რუბრიკები. დავალებების შესრულებისას აქტიურად ვიყენებთ თვითშეფასებას, ურთიერთშეფასებას. სისტემატურად ხდება მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასების მიცემა. კომპლექსური დავალებების შეფასებისას მასწავლებელი აკვირდება ყოველ ეტაპს, აძლევს მოსწავლეებს განმავითარებელ შეფასებას. დროული უკუკავშირი მოსწავლეებს უჩვენებს რა გააკეთა კარგად, რაში სჭირდება დახმარება და როგორ გამოასწოროს ის მომავალში. მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის მართვაა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- შემაჯამებელი ტესტები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი;
- კომპლექსური დავალების ბარათები
- კათედრების ოქმები და სამუშაოგეგმები
- დამხმარე რესურსები

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;
2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე; ***(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)***
3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. ***(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. კურიკულუმის განხორციელება ხდება სასწავლო გარემოში, საგაკვეთილო პროცესში, მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლე იყოს აქტიური, შემოქმედი, განუვითარდეს კრიტიკული აზროვნება, რისი მიღწევაც არის შესაძლებელია კომპლექსური დავალებებით, პროექტებით. სასკოლო თუ სკოლისგარეშე აქტივობებით. ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. დაწყებითი საფეხურის ყველა საგანში სწავლა-სწავლების პროცესი მიმდინარეობს სკაფოლდინგის გამოყენებით, საბოლოო მიზნის მისაღწევად გაწერილია შუალედური მიზნები და აქტივობები. სკოლაში პროცესი დაგეგმილია ისე, რომ საჭიროების შემთხვევაში ხდება ნებისმიერი ცვლილება. სკოლა ჩართული იყო „დაწევისა და დაჩქარებული სწავლების კურიკულუმის“ დანერგვის საპილოტე პროგრამაში, სადაც მასწავლებლებმა დიდი გამოცდილება მიიღეს კურიკულუმის საჭიროების შემთხვევაში მოდიფიცირებაში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. შეფასების სისტემის შემუშავების პროცესი არის გამჭვირვალე, კათედრებზე ხდება შეფასების რუბრიკების შეთანხმება, რომელსაც მასწავლებლები აცნობენ მოსწავლეებს და მშობლებს. ყოველთვის ინფორმირებულია მოსწავლე თუ რაში აფასებს მასწავლებელი.

შეფასების რუბრიკები ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რაც გულისხმობს მოსწავლის მიღწევის ანალიზს, რომელიც სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია, და მაჩვენებელი იმისა, თუ რამდენად ასრულებს შეფასების სისტემა მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად წარმოადგენს ის სწავლა-სწავლების პროცესის საყრდენს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. სკოლა ვალდებულია დაიცვას დოკუმენტის წარმოებასთან და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებული რეგულაციები. ვერიფიკაციის მექანიზმით რეგულირდება შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის სათანადო აღრიცხვა და შენახვა. სკოლა შეფასებასთან დაკავშირებულ მასალებს აგროვებს, ხდება მათი ანალიზი, ხდება მათი შენახვა (3 წლით) მატერიალური ან ელექტრონული სახით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კათედრის სამოქმედო გეგემა
- შეფასების რუბრიკები
- ვერიფიკაციის დოკუმენტი
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- არქივზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის ბრძანება
- ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

1. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში; ***(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)***
2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;
3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. მასწავლებლები სასწავლო პროცესის გამარტივება-გაუმჯობესების მიზნით იყენებენ კურიკულუმით განსაზღვრულ ძირითად და დამხმარე სასწავლო რესურსებს. ბიბლიოთეკა აღჭურვილია სამეცნიერო თუ მხატვრული ლიტერატურით, ასევე ელექტრონული წიგნებით, აუდიო მასალებით. კომპიუტერულ ლაბორატორიაში ხელმისაწვდომია კომპიუტერული ტექნიკა, პროექტორი, სადაც მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა მოიძიონ საჭირო მასალა, ნახოთ სასწავლო ფილმები. სპორტულ დარბაზში არის სხვადასხვა სპორტული ინვენტარი, რომელიც ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სკოლა სასწავლო პროცესის დაწყებამდე შესაბამის საგნობრივ კათედრებზე განიხილავს დამხმარე რესურსების ვალიდურობას და წარადგენს პედ.საბჭოზე დასამტკიცებლად. საჭიროების შემთხვევაში ხდება საჭირო რესურსის მოძიება და შეძენა, ის რესურსი რაც სკოლის ბიბლიოთეკაში, კომპიუტერულ ლაბორატორიაში, სპორტულ დარბაზში არსებობს არის ვალიდური. სკოლაში არსებული რობოტიკის კლუბის კიდევ უფრო ეფექტურად მუშაობისთვის იგეგმება LEGO-ს ფირმის კონსტრუქტორის შეძენა, რომელსაც შემდეგ კლუბის წევრი მოსწავლეები დააპროგრამებენ და გაიღრმავებენ ამ მიმართულებით ცოდნას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სკოლა უზრუნველყოფილია ავტორიზაციით გათვალისწინებული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის შესაბამისი მატერიალური რესურსით, რაც ემსახურება კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სკოლაში არის მოსწავლეების, მასწავლებლების და მშობლების მიერ დამზადებული მატერიალური თუ ელექტრონული რესურსი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად სკოლაში არსებობს ადამიანური რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს კურიკულუმების შექმნას. ყველა მასწავლებლის კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს, სკოლაში არის 57 უფროსი, 9 წამყვანი 6 უფროსი სპეც მასწავლებელი, კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის/საგნობრივი ჯგუფში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა
- ✓ ძირითადი და დამხმარე რესურსები
- ✓ მატერიალური რესურსი
- ✓ ადამიანური რესურსი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად; ***(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)***
2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას;
3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს შემუშავებული კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, რომლის მიხედვით ხორციელდება კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება, საგნობრივი დაკვირვება და მიღებული შედეგების ანალიზი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სკოლას აქვს შემუშავებული კურიკულუმის შემუშვებისა და განვითარების მეთოდოლოგია და განცობიერებული, რომ მონიტორინგის მიზანია სასკოლო საზოგადოების გაძლიერება, მოსწავლისა და მასწავლებლის მუშაობის გაუმჯობესებისთვის. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სასკოლო საზოგადოება აცნობიერებს, რომ მონიტორინგი და შეფასება მიმართულია სასკოლო საზოგადოების დახმარებისა და მხარდაჭერისაკენ. მასწავლებლების მიერ გაზიარებული გამოცდილებები, უკუკავშირი, რეფლექსიები ატარებენ მხარდამჭერ ხასიათს.

მონიტორინგისა და შეფასების მიზანია სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერა, არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დამრიგებლის პორტფოლიო
- გაკვეტილზე ურთიერთდასწრების ფორმები
- მასწავლებლის ანგარიში
- კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. სკოლა სასწავლო პროცესის შეფასებას ახორციელებს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით, მაგ. მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების სტატისტიკური ანალიზი, შიდა სასკოლო ოლიმპიადები, კონკურსები, პროექტები, კონფერენციები. სწავლა-სწავლების პროცესის, მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეების, პრობლემის, გამოწვევის შესახებ ინფორმაციები მნიშვნელოვანია, რომ მოპოვებული იყოს სხვადასხვა წყაროებით: მშობლებისა და მოსწავლეთა უკუკავშირით, მასწავლებელთა დაკვირვებით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. დაწყებიტ საფეხურზე შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, მაგალითად, მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა ოლიმპიადებსა თუ კონკურსებში, ჯილდოვდებიან სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით, რაც ამაღლებს მოტივაციას და ეს დადებითად აისახება სწავლის ხარისხზე.**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. შეფასებისას მნიშვნელოვანია მონაცემთა მოპოვებისას მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება, რაც მასწავლებლებს საშუალებას აძლევს მოსწავლის შესაძლებლობებისა და უნარების შესახებ მიიღონ სანდო ინფორმაცია. სასკოლო ცხოვრების, სასწავლო პროცესისა და მოსწავლის მიღწევის გაუმჯობესებისათვის იყენებენ მონაცემთა შეგროვების მეთოდებს: მშობლებისა და მოსწავლეების გამოკითხვა, ტესტირება, შემაჯამებელი დავალებების შედეგების შეჯამება და ანალიზი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. დაწყებითი საფეხურის კათდრა შეფასებისას ითვალისწინებს მოსწავლეთა უნარებზე სხვადასხვა ფაქტორების ზეგავლენას. ნერგავენ დიფერენცირებული მიდგომას, მოსწავლის სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას. ხდება ინფორმაციის შეგროვება მოსწავლის შესახებ სხვადასხვ ჭრილში. გათვალისწინებულია ყველა გარე ფაქტორიც, დრო, სივრცე, რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დაგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- შეფასების რუბრიკები
- სასკოლო აქტივობების ამსახველი ფოტომასალა
- ოლიმპიადებში გამარჯვებული მოსწავლეთა სიგელები
- ინდ გეგმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. წლიური სასკოლო სასწავლო გეგმა და საგნობრივი კურიკულუმები ასახავს სკოლის პრიორიტეტებს. მათში გათვალისწინებულია სკოლის გამოცდილება, მისი ძლიერი მხარეები და გამოწვევები. დაგეგმვის პროცესში მიღებული მიგნებები და რეფლექსიის შედეგები გააზრებული და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, სასკოლო სასწავლო გეგმა ყოველწლიურად ახლდება წინა წლის გამოცდილების, მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით. სასწავლო წლის განმავლობაში ხდება სარეკომენდაციო პაკეტის შექმნა კურიკულკუმის განვითარებისა და მხარდაჭერისთვის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. დაწყებით საფეხურზე კურიკულუმის დანერგვის პროცესი მუდმივ ინტერაქციას გულისხმობს დაგეგმილ პროცესებსა და განხორციელებულ პროცესებს შორის. სკოლაში მიმდინარეობს განვლილი სასწავლო წლის შეფასება და საჭიროებების გათვალისწინებით ხდება წლიური სამოქმედო გეგმის, ახალი წლის კურიკულუმების შედგენა და გამოცდილების გაზიარება, როგორც კათედრის წევრებს შორის, ისე სხვა საგნობრივ კათედრებთან. ახალ კურიკულუმზე მუშაობაც ამ პრინციპების გათვალისწინებით მიმდინარეობს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კათედრის ოქმები
- ანალიზის ფორმები
- კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი -საბაზო საფეხური	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი--საბაზო საფეხური

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. საბაზო საფეხურის კურიკულუმი შემუშავდა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის საფუძველზე. სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებაში, რომელიც ემყარება ესგ-ს, სკოლის მისიას, აქტიურად არიან ჩართული კათედრები. საბაზო საფეხურის კურიკულუმის შემუშავებაში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესი. დამრიგებლები შეიმუშავებენ წლიურ სამუშაო გეგმებს, რომელსაც აცნობენ მშობლებს მშობელთა კრებებზე, ისმენენ მოსაზრებებს და ითვალისწინებენ მათ წინადადებებს, ასევე კათედრის გამგეები კათედრაზე შემავალ მასწავლებლებთან ერთად ადგენენ კათედრის წლიურ სამუშაო გეგმას, რომელსაც წარადგენენ პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე. სასწავლო წლის ბოლოს მასწავლებლები კათედრაზე აჯამებენ სასწავლო პროცესს, ჩატარებულ აქტივობებს. **ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისობაშია**

2.დამრიგებლების, კათედრის გამგეების მიერ შემუშავებული წლიური გეგმები განსახილველად წარედგინება სამეურვეო საბჭოს, დასამტკიცებლად კი პედაგოგიურ საბჭოს. საბოლოოდ დამტკიცებამდე არის შესაძლებლობა კიდევ ერთხელ გადაიხედოს და მოხდეს სასკოლო საზოგადოების ინტერესების, წინადადებების გათვალისწინება. მშობლები მშობელთა კრებებზე გამოხატავენ თავიანთ ინტერესს არა მხოლოდ მათი შვილების აკადემიური მოსწრებით, არამედ კლასგარეშე, არაფორმალურ განათლებაში ჩართულობით. დირექცია აქტიურად არის ჩართული კურიკულუმის შემუშავებაში, მზაობას და მხარდაჭერას გამოხატავს რომ სასწავლო პროცესი მდიდარი იყოს როგორც სასკოლო, ასევე სკოლისგარეშე აქტივობებით და მაღალი იყო მოსწავლეთა ჩართულობა.

ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისობაშია

3.ყოველწლიურად კურიკულუმი წინა წელს გამოვლენილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე ახლდება და მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლების, დირექციის ჩართულობით ვითარდება. საბაზო საფეხურზე მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს. მათი მუშაობა მიმართულია მოსწავლეთა პიროვნულ, სოციალურ განვითარებაზე. ამ პრინციპზე აგებული დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეებმა გააკეთონ საკუთარი ინტერესებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირება, შეძლონ საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების გამოკვეთა. **ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისობაშია**

4. სასკოლო სასწავლო გეგმა, საგნობრივი კურიკულუმები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის, ხდება მათი განხილვა მშობელთა კრებებზე, ინდივიდუალურ შეხვედრებზე, სამეურვეო და პედაგოგიურ საბჭოებზე. მშობლებს და მოსწავლეებს წინასწარ ეცნობებათ, თუ რა დავალებებზე მოუწევთ მუშაობა, მათი ჩართულობით იგეგმება სხვადასხვა სასკოლო და სკოლისგარეშე აქტივობები. მშობლები თანამშრომლობენ მასწავლებლებთან, დირექციასთან, სადაც აქვთ შესაძლებლობა დააფიქსირონ თავიანთი მოსაზრებები, წინადადებები. **ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- პედსაბჭოს სხდომის ოქმები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- მშობელთა უკუკავშირის ფორმები;
- საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმები;
- სკოლის თვითშეფასების ფორმა.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;
3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;
5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. კათედრების მიერ შემუშავებული წლიური სამოქმედო გეგმები ითვალისწინებს საგნობრივ კურიკულუმებს, რომელთა შედგენისას მთავარი მიზანია მოსწავლეთა პიროვნული განვითარება, ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, რომელთა გააზრებაც მიმართულია შედეგების მიღწევაზე. შუალედური მიზნების მისაღწევად მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, წინარე ცოდნას, საჭიროებებს. მშობლები ჩართული არიან პროექტებსა და კომპლექსური დავალებების შესრულებისას, ეს კიდევ უფრო ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას. კურიკულუმში ასახულია საბაზო საფეხურზე მისაღწევი შედეგები. კურიკულუმის შემუშავებისას

გათვალისწინებულია სასწავლო მასალის ეტაპობრივად გადაცემა, ცნებებისა და ახალი საკითხების საფუძვლიანი განხილვა. კომპლექსური დავალებები ემსახურება მოსწავლეთა განვითარებას ესგ-ის მიხედვით. საბაზო საფეხურზე მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული სხვადასხვა ადგილობრივ თუ საერთაშორისო პროექტებში. **ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისობაშია**

2. საბაზო საფეხურის კურიულუმში იგეგმება სავალდებულო საგნობრივ მოთხოვნები, რომლებიც განსაზღვრულია ესგ-ის საგნობრივ სტანდარტებში. საგნის სამიზნე ცნებებზე დაფუძნებით სტანდარტი განსაზღვრავს თუ რა უნდა შეძლოს მოსწავლემ საბაზო საფეხურზე. **ინდიკატორი სტანდარტთან შეასაბამისობაშია**

3. სკოლას აქვს ყველა ის რესურსი, რომელიც საჭიროა კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად - სახელმძღვანელოები, ცხრილები, რუკები, ბარათები, კომპიუტერული ტექნიკა, პროექტორი, მონიტორი, ეკრანი. ასევე გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლეთა საჭიროებები, შესაძლებლობები და ინტერესები. ხდება სხვადასხვა ინტერაქტიული ნიმუშების გამოყენება, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა თანაბარ ჩართულობას. საბაზო საფეხურზე არის 11 სსსმ მოსწავლე. **ინდიკატორი სტანდარტთან შეასაბამისობაშია**

4. მოსწავლეთა შესაძლებლობები და ინტერესები გათვალისწინებულია კურიკულუმის შედგენისას, დავალებები და აქტივობები მორგებულია ყველა მოსწავლეზე. მასწავლებლების ახდენენ დავალებათა დიფერენცირებას, მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით. გაკვეთილზე ინდ გეგმებში დასახული მიზნების მისაღწევად გამოიყენება მათი ცოდნისა და უნარების შესაბამისი რესურსი და დავალებები. **ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისობაშია.**

5. ყველა საგანში კათედრებზე შემუშავებულია შეფასების რუბრიკები. დავალებების შესრულებისას აქტიურად გამოიყენება თვითშეფასებას, ურთიერთშეფასებას. სისტემატურად ხდება მოსწავლეთა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. შეფასების რუბრიკით ფასდება შემაჯამებელი დავალებები. კომპლექსური დავალებების შეფასებისას მასწავლებელი აკვირდება ყოველ ეტაპს, აძლევს მოსწავლეებს განმავითარებელ შეფასებას. დროული უკუკავშირი მოსწავლეებს უჩვენებს რა გააკეთა კარგად, რაში სჭირდება დახმარება და როგორ გამოასწოროს ის მომავალში. მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის მართვაა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- შემაჯამებელი ტესტები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი;
- კომპლექსური დავალების ბარათები

- კათედრების ოქმები და სამუშაო გეგმები
- დამხმარე რესურსები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;
2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე; ***(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)***
3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. ***(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. კურიკულუმის განხორციელება ხდება სასწავლო გარემოში, საგაკვეთილო პროცესში, პროექტებითა და შემოქმედებითი თუ კომპლექსური დავალებებით რათა მოსწავლე იყოს აქტიური, შემოქმედი და განუვითარდეს კრიტიკული აზროვნება. **ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისობაშია**

2. საბაზო საფეხურის ყველა საგანში სწავლა-სწავლების პროცესი მიმდინარეობს სკაფოლდინგის გამოყენებით, საბოლოო მიზნის მისაღწევად გაწერილია შუალედური მიზნები და აქტივობები. სკოლაში პროცესი დაგეგმილია ისე, რომ საჭიროების შემთხვევაში ხდება ნებისმიერი ცვლილება. სკოლა ჩართული იყო „დაწევისა და დაჩქარებული სწავლების კურიკულუმის“ დანერგვის საპილოტე პროგრამაში, სადაც მასწავლებლებმა დიდი გამოცდილება მიიღეს კურიკულუმის საჭიროების შემთხვევაში მოდიფიცირებაში. იმუშავეს

მოსწავლეებთან, რომლებისთვისაც შეიქმნა „დაწევისა და დაჩქარების“ კურიკულუმი, მომზადდა პრე და პოსტ ტესტები. ამ პროგრამაში ჩართული იყო საბაზო საფეხურის მოსწავლეები, საჭიროების შემთხვევაში მასწავლებლებს აქვთ მზაობა სამივე საფეხურზე გამოყენონ თავიანთი ცოდნა, საჭირო მასალები და რესურსები. **ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისობაშია**

3. შეფასების სისტემის შემუშავების პროცესი არის გამჭვირვალე, კათედრებზე ხდება შეფასების რუბრიკების შეთანხმება, რომელსაც მასწავლებლები აცნობენ მოსწავლეებს და მშობლებს. ყოველთვის ინფორმირებულია მოსწავლე თუ რაში აფასებს მასწავლებელი. შეფასების რუბრიკები ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის. **ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისობაშია**

4. სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რაც გულისხმობს მოსწავლის მიღწევის ანალიზს, რომელიც სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია, და მაჩვენებელი იმისა, თუ რამდენად ასრულებს შეფასების სისტემა მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად წარმოადგენს ის სწავლა-სწავლების პროცესის საყრდენს. ვერიფიკაცია ინფორმაციას გვაწვდის სამი მიმართულებით: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი 2024/2025 სასწავლო წლიდან ფუნქციონირებს სკოლაში. **ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისობაშია**

5. სკოლა ვალდებულია დაიცვას დოკუმენტის წარმოებასთან და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებული რეგულაციები. ვერიფიკაციის მექანიზმით რეგულირდება შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის სათანადო აღრიცხვა და შენახვა. სკოლა შეფასებასთან დაკავშირებულ მასალებს აგროვებს, ხდება მათი ანალიზი, ხდება მათი შენახვა (3 წლით) მატერიალური ან ელექტრონული სახით. **ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კათედრის სამოქმედო გეგმა
- შეფასების რუბრიკები
- ვერიფიკაციის დოკუმენტი
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- არქივზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის ბრძანება
- კურიკულუმები
- ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

1. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში; ***(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)***
2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. მასწავლებლები სასწავლო პროცესის გამარტივება-გაუმჯობესების მიზნით იყენებენ კურიკულუმით განსაზღვრულ ძირითად და დამხმარე სასწავლო რესურსებს. ბიბლიოთეკა აღჭურვილია სამეცნიერო თუ მხატვრული ლიტერატურით, ასევე ელექტრონული წიგნებით, აუდიო მასალებით. კომპიუტერულ ლაბორატორიაში ხელმისაწვდომია კომპიუტერული ტექნიკა, პროექტორი, სპორტულ დარბაზში არის სხვადასხვა სპორტული ინვენტარი, რომელიც ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის. მიმდინარე სასწავლო წელს სკოლამ შეიძინა ელექტრო პიანინო, რაც საშუალებას მისცემს სკოლის სიმღერის გუნდს („ნაკო“), სრულფასოვანი მეცადინეობები ჩაატაროს, რომელიც უკვე ზედიზედ 2 წელია წარმატებით გამოდის საგუნდო ფესტივალზე და იკავებს საპრიზო ადგილებს. **ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისობაშია.**

2. სკოლა სასწავლო პროცესის დაწყებამდე შესაბამის საგნობრივ კათედრებზე განიხილავს დამხმარე რესურსების ვალიდურობას და წარადგენს პედ.საბჭოზე დასამტკიცებლად. საჭიროების შემთხვევაში ხდება საჭირო რესურსის მოძიება და შეძენა, ის რესურსი რაც სკოლის ბიბლიოთეკაში, კომპიუტერულ ლაბორატორიაში, სპორტულ დარბაზში არსებობს არის ვალიდური. სკოლაში არსებული რობოტიკის კლუბის კიდევ უფრო ეფექტურად მუშაობისთვის საჭირო გახდა LEGO-ს ფირმის კონსტრუქტორის შეძენა, რომელსაც შემდეგ კლუბის წევრი მოსწავლეები დააპროგრამებენ და გაიღრმავებენ ამ მიმართულებით ცოდნას. დაგეგმილია აღნიშნული რესურსის შეძენა სასწავლო წლის ბოლომდე. **ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისობაშია.**

3. სკოლა უზრუნველყოფილია ავტორიზაციით გათვალისწინებული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის შესაბამისი მატერიალური რესურსით, რაც ემსახურება კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწეევას. სკოლაში არის მოსწავლეების, მასწავლებლების და მშობლების მიერ დამზადებული მატერიალური თუ ელექტრონული რესურსი. 2023-2024 სასწავლო წელს განხორციელდა სკოლის სრული რეაბილიტაცია. მიმდინარეობს სკოლის აღჭურვა ახალი ინვენტარითა და საჭირო სასწავლო რესურსებით. **საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები ჯერ-ჯერობით სრულად არ არის აღჭურვილი სათანადო სასწავლო რესურსით, თუმცა სკოლას შესაბამისობის გეგმით გაწერილი აქვს რომ რომ 1 წლის განმავლობაში შეძლებს ლაბორატორიის სრულად აღჭურვას თანამედროვე**

სტანდარტების შესაბამისად. მიუხედავად ამისა გაკვეთილები ტარდება და მასწავლებლები იყენებენ ძველ (სკოლაში არსებულ) და ელექტრონულ რესურსებს. ინდიკატორი სტანდართან მეტწილ შესაბამისობაშია.

4. კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად სკოლაში არსებობს ადამიანური რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს კურიკულუმების შექმნას. ყველა მასწავლებლის კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს, სკოლაში არის 57 უფროსი, 9 წამყვანი -6 უფროსი სპეც მასწავლებელი, სამოქალაქო განათლების ტრენერ-მასწავლებელი, კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის/საგნობრივი ჯგუფში. სკოლის ყველა მასწავლებლის კვალიფიკაცია ადასტურებს შესაბამისი კომპეტენციების ფლობას შემდეგი მიმართულებით: ა) სასწავლო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა; ბ) სკოლის განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობების განხორციელება; გ) პროფესიული პასუხისმგებლობა (პროფესიული პასუხისმგებლობა გულისხმობს საკუთარი და კოლეგების პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვას, მოსწავლეებთან და/ან მათ მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ურთიერთობას). **ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ძირითადი და დამხმარე რესურსები
- მატერიალური რესურსი
- ადამიანური რესურსი

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად; ***(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)***
2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას;

3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს შემუშავებული კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, რომლის მიხედვით ხორციელდებაკურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება, საგნობრივი დაკვირვება და მიღებული შედეგების ანალიზი. **ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისობაშია**

2. მონიტორინგის მიზანია სასკოლო საზოგადოების გაძლიერება, იგი ეხმარება სასკოლო საზოგადოებას წარმატების გაზომვასა და გამოცდილების გათვალისწინებაში. მასწავლებელთა მხარდასაჭერად და დასახმარებლად სისტემატურად ხდება გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება და უკუკავშირის განხორციელება. **ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისობაშია**

3. მონიტორინგი და შეფასება მიმართულია სასკოლო საზოგადოების დახმარებისა და მხარდაჭერისაკენ. მასწავლებლების მიერ გაზიარებული გამოცდილებები, უკუკავშირი, რეფლექსიები ატარებენ მხარდამჭერ ხასიათს. მონიტორინგისა და შეფასების მიზანია სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერა, არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.**ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კათედრის სამოქმედო გეგმა
- ურთიერთდასწრების ფორმები
- ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:
1. სკოლა სასწავლო პროცესის შეფასებას ახორციელებს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით, მაგ. მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების სტატისტიკური ანალიზი, შიდა სასკოლო ოლიმპიადები, კონკურსები, პროექტები, კონფერენციები. სწავლა-სწავლების პროცესის, მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეების, პრობლემის, გამოწვევის შესახებ ინფორმაციები მნიშვნელოვანია, რომ მოპოვებული იყოს სხვადასხვა წყაროებით: მშობლებისა და მოსწავლეთა უკუკავშირით, მასწავლებელთა დაკვირვებით. **ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისობაშია**

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, სრულყოფილი ინფორმაციისთვის მოსწავლე სხვადასხვა კონტექსტში შეისწავლება. საბაზო საფეხურზე მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა ოლიმპიადებსა თუ კონკურსებში, (განსაკუთრებით IX კლასის მოსწავლეები) სხვადასხვა უნივერსიტეტების მიერ გამოცხადებულ აქტივობებში, ჩართული არიან არაფორმალური განათლების პროექტებში, ჯილდოვდებიან სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით, რაც ამაღლებს მოტივაციას და ეს დადებითად აისახება სწავლის ხარისხზე.**ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისობაშია**

3. შეფასებისას სკოლა იყენებს მონაცემთა მოპოვების მრავალფეროვანი მეთოდებს. სასკოლო ცხოვრების, სასწავლო პროცესისა და მოსწავლის მიღწევის გაუმჯობესებისათვის ხდება მშობლებისა და მოსწავლეების გამოკითხვა, ტესტირება, შემაჯამებელი დავალებების შედეგების შეჯამება და ანალიზი, შიდა სასკოლო წლიური გამოცდების შედეგების ანალიზი. საბაზო საფეხურზე მომავალში იგეგმება მონაცემთა შეგროვება ციფრულ ინსტრუმენტების საშუალებით. **ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისობაშია.**

4. მოსწავლეთა უნარებზე სხვადასხვა ფაქტორები ახდენს ზეგავლენას, რასაც ვითვალისწინებთ შეფასებისას. რაც გულისხმობს დიფერენცირებული მიდგომის დანეგვას, მოსწავლის სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას. მრავალმხრივი შეფასება და კვლევა ეხმარება მოსწავლეს აღმოაჩინოს ახალი შესაძლებლობები. კლასის დამრიგებლებს თავიანთ პორტფოლიოში აღწერილი აქვთ „მოსწავლის მახასიათებლები“, ხდება ინფორმაციის შეგროვება მოსწავლის შესახებ სხვადასხვ ჭრილში. გათვალისწინებულია ყველა გარე ფაქტორიც, დრო, სივრცე, რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგზე. მრავალმხრივი შეფასება საშუალებას გვაძლევს უფრო სრულად გავიგოთ/დავაკვირდეთ, თუ როგორ ვითარდება მოსწავლის ინდივიდუალური უნარები და არ ეფუძნება მხოლოდ ერთ ან ორ მაჩვენებელს. **ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- მოსწავლეთა მიღწევები ოლიმპიადებში და კონფერენციებში
- წესდება წიგნის კლუბი
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია
2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

6. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი; ***(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)***
7. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. ***(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. წლიური სასკოლო სასწავლო გეგმა და საგნობრივი კურიკულუმები ასახავს სკოლის პრიორიტეტებს. მათში გათვალისწინებულია სკოლის გამოცდილება, მისი ძლიერი მხარეები და გამოწვევები. დაგეგმვის პროცესში მიღებული მიგნებები და რეფლექსიის შედეგები გააზრებული და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, სასკოლო სასწავლო გეგმა ყოველწლიურად ახლდება წინა წლის გამოცდილების, მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით. **ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისობაშია.**

2. კურიკულუმის დანერგვის პროცესი მუდმივ ინტერაქციას გულისხმობს დაგეგმილ პროცესებსა და განხორციელებულ პროცესებს შორის. სკოლა გეგმავს, რომ საბაზო საფეხურზე მომავალ სასწავლო წელს კურიკულუმი უფრო მეტად იქნება დატვირთული ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით, პროექტული სწავლებითა და მშობლების ჩართულობით არაფორმალურ განათლებაში. **ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი --საშუალო საფეხური	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი--სააშუალო საფეხური

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. საშუალო საფეხურის 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმი შეიქმნა სასწავლო წლის დასაწყისში და მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: საგნობრივ კურიკულუმებს, სასკოლო პროექტებს, სადამრიგებლო პროგრამებს. საშუალო საფეხურის კურიკულუმი შემუშავდა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის საფუძველზე. საშუალო საფეხურის კურიკულუმის შემუშავებაში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესი. **ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისობაშია.**

2. საშუალო საფეხურზე, შემუშავებული კურიკულუმები როგორც სასკოლო კურიკულუმის შემადგენელი ნაწილი, განსახილველად წარედგინება სამეურვეო საბჭოს, დასამტკიცებლად კი პედაგოგიურ საბჭოს. საბოლოოდ დამტკიცებამდე არის შესაძლებლობა კიდევ ერთხელ გადაიხედოს და მოხდეს სასკოლო საზოგადოების ინტერესების, წინადადებების გათვალისწინება. მშობლები მშობელთა კრებებზე გამოხატავენ თავიანთ ინტერესს არა მხოლოდ მათი შვილების აკადემიური მოსწრებით, არამედ კლასგარეშე, არაფორმალურ განათლებაში ჩართულობით. დირექცია აქტიურად არის ჩართული კურიკულუმის შემუშავებაში, მზაობას და მხარდაჭერას გამოხატავს რომ სასწავლო პროცესი მდიდარი იყოს როგორც სასკოლო, ასევე სკოლისგარეშე აქტივობებით და მაღალი იყო მოსწავლეთა ჩართულობა. **ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისობაშია.**

3. ყოველწლიურად კურიკულუმი წინა წელს გამოვლენილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე ახლდება და მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლების, დირექციის ჩართულობით ვითარდება. მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს. მათი მუშაობა მიმართულია მოსწავლეთა პიროვნულ, სოციალურ განვითარებაზე. ამ პრინციპზე აგებული დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეებმა გააკეთონ საკუთარი ინტერესებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირება, შეძლონ საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების გამოკვეთა. მოსწავლეებისა და მშობელთა ინტერესების გათვალისწინებით იგეგმება სხვადასხვა პროექტები, კომპლექსურ დავალებებში გამოკვეთილია ცხოვრებისეულ მაგალითებთან კავშირი, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს განავითარონ კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობის,

სოციალური პასუხისმგებლობის, ცხოვრებისეული გამოწვევების დამოუკიდებლად დაძლევის უნარები.**ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისობაშია.**

4. სასკოლო სასწავლო გეგმა, საგნობრივი კურიკულუმები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის, ხდება მათი განხილვა მშობელთა კრებებზე, ინდივიდუალურ შეხვედრებზე, სამეურვეო და პედაგოგიურ საბჭოებზე. **ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- პედსაბჭოს სხდომის ოქმები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- მშობელთა უკუკავშირის ფორმები;
- საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმები;
- სკოლის თვითშეფასების ფორმა;

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

1.შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2.კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;

3.კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;
5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

საშუალო საფეხურზე კათედრების მიერ შემუშავებული კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, რომელთა გააზრებაც მიმართულია შედეგების მიღწევაზე. შუალედური მიზნების მისაღწევად მასწავლებლები ითვალისწინებენმოსწავლეთა ინტერესებს, წინარე ცოდნას, საჭიროებებს. მშობლები ჩართული არიან პროექტებსა და კომპლექსური დავალებების შესრულებისას, ეს კიდევ უფრო ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას. საშუალო საფეხურზე მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული სხვადასხვა ადგილობრივ თუ საერთაშორისო პროექტებში. მე-11 კლასის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს eTwinnig პროექტში, სადაც 5 ქვეყნის მოსწავლეებთან ერთად იმუშავეს თემაზე -

„ქალები, რომლებმაც შეცვალეს მსოფლიო“ („Women Changing the World“) პროექტმა მიიღო ნაციონალური ხარისხის ნიშანი და ევროპის ხარისხის ნიშანი. ქართული ენის დღისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე წარმატებით წარსდგა მე-11 კლასის მოსწავლე თემით „ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ“, მე-10, მე-11 და მე-12 კლასელებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ილიას დაბადების დღისადმი მიძღვნილ ესეების კონკურსში. აღნიშნული აქტივობები მიზნად ისახავს მოსწავლეებში შემოქმედებითობის, კრიტიკული აზროვნების, ანალიზისა და შეფასების უნარების განვითარებას.**ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისობაშია.**

2. საშუალო საფეხურის კურიულუმში იგეგმება სავალდებულო საგნობრივ მოთხოვნები, რომლებიც განსაზღვრულია ესგ-ის საგნობრივ სტანდარტებში. საგნობრივ კურიკულუმში აღწერილია კომპლექსური დავალებები, რომლებშიც გრძელვადიან მიზნებად გააზრებულია სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები. კომპლექსური დავალების შესრულებით მოსწავლე გამოცდილებასთან ერთად მიზანმიმართულად იყენებს ახალ ცოდნას, უნარებს. **ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისობაშია.**

3. სკოლას აქვს ყველა ის რესურსი, რომელიც საჭიროა კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად - სახელმძღვანელოები, ცხრილები, რუკები, ბარათები, კომპიუტერული ტექნიკა, პროექტორი, მონიტორი, ეკრანი. ასევე გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლეთა საჭიროებები, შესაძლებლობები და ინტერესები. ხდება სხვადასხვა ინტერაქტიული ნიმუშების გამოყენება, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა თანაბარ ჩართულობას. საშუალო საფეხურზე არის 5 სსსმ მოსწავლე. **ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისობაშია.**

4. მოსწავლეთა შესაძლებლობები და ინტერესები გათვალისწინებულია კურიკულუმის შედგენისას, დავალებები და აქტივობები მორგებულია ყველა მოსწავლეზე. გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები. გაკვეთილზე ინდ გეგმებში დასახული მიზნების მისაღწევად გამოიყენება მათი ცოდნისა და უნარების შესაბამისი რესურსი და დავალებები. **ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისობაშია.**

5. ყველა საგანში კათედრებზე შემუშავებულია შეფასების რუბრიკები. სისტემატურად ხდება მოსწავლეთა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. შეფასების რუბრიკით ფასდება შემაჯამებელი დავალებები. კომპლექსური დავალებების შეფასებისას მასწავლებელი აკვირდება ყოველ ეტაპს, აძლევს მოსწავლეებს განმავითარებელ შეფასებას. **ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- შემაჯამებელი ტესტები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი;
- კომპლექსური დავალების ბარათები
- კათედრების ოქმები და სამუშაო გეგმები
- დამხმარე რესურსები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

1.სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;

2.სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე; ***(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)***

3.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

4.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

5.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. ***(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია და მიმდინარეობს სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, კურიკულუმის განხორციელება ხდება სასწავლო გარემოში, საგაკვეთილო პროცესში. **ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისობაშია.**

2. საშუალო საფეხურის ყველა საგანში სწავლა-სწავლების პროცესი მიმდინარეობს სკაფოლდინგის გამოყენებით, საბოლოო მიზნის მისაღწევად გაწერილია შუალედური მიზნები და აქტივობები. სკოლაში პროცესი დაგეგმილია ისე, რომ საჭიროების შემთხვევაში ხდება ნებისმიერი ცვლილება. სკოლა ჩართული იყო „დაწევისა და დაჩქარებული სწავლების კურიკულუმის“ დანერგვის საპილოტე პროგრამაში, სადაც მასწავლებლებმა დიდი გამოცდილება მიიღეს კურიკულუმის საჭიროების შემთხვევაში მოდიფიცირებაში. იმუშავეს მოსწავლეებთან, რომლებისთვისაც შეიქმნა „დაწევისა და დაჩქარების“ კურიკულუმი, მომზადდა პრე და პოსტ ტესტები. მიუხედავად იმისა, რომ ამ პროგრამაში ჩართული იყო საბაზო საფეხურის მოსწავლეები, საჭიროების შემთხვევაში მასწავლებლებს აქვს მზაობა სამივე საფეხურზე გამოყენონ თავიანთი ცოდნა, საჭირო მასალები და რესურსები. **ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისობაშია.**

3. შეფასების სისტემის შემუშავების პროცესი არის გამჭვირვალე, კათედრებზე ხდება შეფასების რუბრიკების შეთანხმება, რომელსაც მასწავლებლები აცნობენ მოსწავლეებს და მშობლებს. ყოველთვის ინფორმირებულია მოსწავლე თუ რაში აფასებს მასწავლებელი. შეფასების რუბრიკები ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის. **ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისობაშია.**

4. სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რაც გულისხმობს მოსწავლის მიღწევის ანალიზს, რომელიც სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია, და მაჩვენებელი იმისა, თუ რამდენად ასრულებს შეფასების სისტემა მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად წარმოადგენს ის სწავლა-სწავლების პროცესის საყრდენს. **ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისობაშია.**

5. სკოლა ვალდებულია დაიცვას დოკუმენტის წარმოებასთან და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებული რეგულაციები. ვერიფიკაციის მექანიზმით რეგულირდება შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის სათანადო აღრიცხვა და შენახვა. სკოლა შეფასებასთან დაკავშირებულ მასალებს აგროვებს, ხდება მათი ანალიზი, ხდება მათი შენახვა (3 წლით) მატერიალური ან ელექტრონული სახით. **ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები
- კათედრის სამოქმედო გეგმა
- შეფასების რუბრიკები
- ვერიფიკაციის დოკუმენტი
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- არქივზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის ბრძანება
- ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

1. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში; ***(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)***

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;
3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. მასწავლებლები სასწავლო პროცესის გამარტივება-გაუმჯობესების მიზნით იყენებენ კურიკულუმით განსაზღვრულ ძირითად და დამხმარე სასწავლო რესურსებს. ბიბლიოთეკა აღჭურვილია სამეცნიერო თუ მხატვრული ლიტერატურით, ასევე ელექტრონული წიგნებით, აუდიო მასალებით. კომპიუტერულ ლაბორატორიაში ხელმისაწვდომია კომპიუტერული ტექნიკა, პროექტორი, სადაც მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა მოიძიონ საჭირო მასალა. სკოლას აქვს ელექტრო მუსიკალური ინსტრუმენტი. **ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისობაშია.**

2. სკოლა სასწავლო პროცესის დაწყებამდე შესაბამის საგნობრივ კათედრებზე განიხილავს დამხმარე რესურსების ვალიდურობას და წარადგენს პედაგოგიურ საბჭოზე დასამტკიცებლად. საჭიროების შემთხვევაში ხდება საჭირო რესურსის მოძიება და შეძენა, ის რესურსი რაც სკოლის ბიბლიოთეკაში, კომპიუტერულ ლაბორატორიაში, სპორტულ დარბაზში არსებობს არის ვალიდური. სკოლა ხელს უწყობს კლუბების აქტიურ ფუნქციონირებას და მათ აღჭურვას ყველა საჭირო რესურსით. **ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისობაშია.**

3. სკოლა უზრუნველყოფილია ავტორიზაციით გათვალისწინებული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის შესაბამისი მატერიალური რესურსით, რაც ემსახურება კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. 2023-2024 სასწავლო წელს განხორციელდა სკოლის სრული რეაბილიტაცია. სრულდება სკოლის აღჭურვა ახალი ინვენტარითა და საჭირო სასწავლო რესურსებით. **საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები ჯერ-ჯერობით სრულად არ არის აღჭურვილი სათანადო სასწავლო რესურსით, თუმცა სკოლას შესაბამისობის გეგმით გაწერილი აქვს რომ რომ 1 წლის განმავლობაში შეძლებს ლაბორატორიის სრულად აღჭურვას თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. მიუხედავად ამისა გაკვეთილები ტარდება და მასწავლებლები იყენებენ ძველ (სკოლაში არსებულ) და ელექტრონულ რესურსებს. ინდიკატორი სტანდართან მეტწილ შესაბამისობაშია.**

4. კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად სკოლაში არსებობს ადამიანური რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს კურიკულუმების შექმნას და სასწავლო პროცესის გახორციელებას. ყველა მასწავლებლის კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს, სკოლაში არის 57 უფროსი, 9 წამყვანი 6 უფროსი სპეც მასწავლებელი, სამოქალაქო განათლების ტრენერ-მასწავლებელი, კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის/საგნობრივი ჯგუფში. **ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა

- ძირითადი და დამხმარე რესურსები
- მატერიალური რესურსი
- ადამიანური რესურსი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად; ***(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)***

2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას;
3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს შემუშავებული კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, რომლის მიხედვით ხორციელდებაკურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება, საგნობრივი დაკვირვება და მიღებული შედეგების ანალიზი. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მასწავლებლები აკვირდებიან სწავლის პროცესს და აკეთებენ ჩანიშვნებს. მაგალითად, კომპლექსური დავალებების შესრულებისას მასწავლებელი აკეთებს ჩანიშვნას, აკეთებს ჩანაწერებს თვითრეფლექსიისთვის, რომელმა აქტივობამ იმუშავა, რომელს შეცვლიდა, უზიარებს თავის გამოცდილებას კოლეგებს, რათა მომდევნო წლის კურიკულუმში ასახოს მიღებული შედეგები. ასევე კათედრებზე ხდება შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, ხდება მოსწავლეების ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენა. **ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისობაშია.**

2. სკოლა აცნობიერებს, რომ მონიტორინგის მიზანია სასკოლო საზოგადოების გაძლიერება, მოსწავლისა და მასწავლებლის მუშაობის გაუმჯობესებისთვის და მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. იგი

ეხმარება სასკოლო საზოგადოებას წარმატების გაზომვასა და გამოცდილების გათვალისწინებაში. მასწავლებელთა მხარდასაჭერად და დასახმარებლად სისტემატურად ხდება გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება და უკუკავშირის განხორციელება. კომპლექსური დავალების განხორციელებისას წარმოებული მონიტორინგი საშუალებას იძლევა შეფასდეს მოსწავლის მრავალმხრივი უნარები - მისი დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული ცოდნა. **ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისობაშია.**

3. მონიტორინგი და შეფასება მიმართულია სასკოლო საზოგადოების დახმარებისა და მხარდაჭერისაკენ. მასწავლებლების მიერ გაზიარებული გამოცდილებები, უკუკავშირი, რეფლექსიები ატარებენ მხარდამჭერ ხასიათს..**ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კათედრის სამოქმედო გეგმა
- ურთიერთდასწრების ფორმები
- ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:
1. სკოლა სასწავლო პროცესის შეფასებას ახორციელებს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით, მაგ. მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების სტატისტიკური ანალიზი, შიდა სასკოლო ოლიმპიადები, კონკურსები, პროექტები, კონფერენციები. სწავლა-სწავლების პროცესის, მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეების, პრობლემის, გამოწვევის შესახებ ინფორმაციები მნიშვნელოვანია, რომ მოპოვებული იყოს სხვადასხვა წყაროებით: მშობლებისა და მოსწავლეთა უკუკავშირით, მასწავლებელთა დაკვირვებით. **ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისობაშია.**

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, სრულყოფილი ინფორმაციისთვის მოსწავლე სხვადასხვა კონტექსტში შეისწავლება. მაგალითად საშუალო საფეხურზე მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა ოლიმპიადებსა თუ კონკურსებში, განსაკუთრებით სხვადასხვა უნივერსიტეტების მიერ გამოცხადებულ აქტივობებში, ჩართული არიან არაფორმალური განათლების პროექტებში, ჯილდოვდებიან სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით, რაც ამაღლებს მოტივაციას და ეს დადებითად აისახება სწავლის ხარისხზე.**ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისობაშია.**

3. სასკოლო ცხოვრების, სასწავლო პროცესისა და მოსწავლის მიღწევის გაუმჯობესებისათვის სკოლა იყენებს მონაცემთა შეგროვების მეთოდებს: მშობლებისა და მოსწავლეების გამოკითხვა, ტესტირება, შემაჯამებელი დავალებების შედეგების შეჯამება და ანალიზი, შიდა სასკოლო წლიური გამოცდების შედეგების ანალიზი. **ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისობაშია.**

4. საშუალო საფეხურის კლასის დამრიგებლებს თავიანთ პორტფოლიოში აღწერილი აქვთ „მოსწავლის მახასიათებლები“, ხდება ინფორმაციის შეგროვება მოსწავლის შესახებ სხვადასხვ ჭრილში. გათვალისწინებულია ყველა გარე ფაქტორიც, დრო, სივრცე, რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგზე. მრავალმხრივი შეფასება მასწავლებელს საშუალებას აძლევს უფრო კარგად გაიგოს თუ როგორ ვითარდება მოსწავლის ინდივიდუალური უნარები და არ ეფუძნება მხოლოდ ერთ ან ორ მაჩვენებელს. **ინდიკატორი სტანდარტთან შესაბმისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- მოსწავლეთა მიღწევები ოლიმპიადებში და კონფერენციებში
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი; ***(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)***
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. ***(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. წლიური სასკოლო სასწავლო გეგმა და საგნობრივი კურიკულუმები ასახავს სკოლის პრიორიტეტებს. მათში გათვალისწინებულია სკოლის გამოცდილება, მისი ძლიერი მხარეები და გამოწვევები. დაგეგმვის პროცესში მიღებული მიგნებები და რეფლექსიის შედეგები გააზრებული და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, სასკოლო სასწავლო გეგმა ყოველწლიურად ახლდება წინა წლის გამოცდილების, მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით. **ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისობაშია.**

2. კურიკულუმის დანერგვის პროცესი მუდმივ ინტერაქციას გულისხმობს დაგეგმილ პროცესებსა და განხორციელებულ პროცესებს შორის. სკოლა გეგმავს, რომ საშუალო საფეხურზე მომავალ სასწავლო წელს კურიკულუმი უფრო მეტად იქნება დატვირთული ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით, პროექტული სწავლებითა და მშობლების ჩართულობით არაფორმალურ განათლებაში. **ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საგნობრივი ექსპერტების მიერ დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმები;
- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საგნობრივი ექსპერტების მიერ საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმები;
- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საგნობრივი ექსპერტების მიერ საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმები.

თარიღი: 20.06.2025

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: